# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 12 აპრილი   1996 № 28 (253)   ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტაისონს ქალი მეორედაც შემობახვია

ჩიკაგოს პოლიცია იძიებს კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) მძიმეწონოსანი ჩემპიონის, 29 წლის მაიკ ტაისონის საქმეს. მაიკი კვირას ერთ-ერთ ღამის კლუბში ბრძანებულმა და თუმც ამ დაწესებულების მავანი მენეჯერი ამტკიცებს, მოკრივეს ერთი წუთითაც არ მოშორებია ორი პირადი მცველიო, პოლიციას სულ სხვა ინფორმაცია აქვს.

ვინმე 25 წლის ინდიანელ ქალს, ვის ვინაობასაც გარკვეულ მოსაზრებათა გამო არ ამხელენ, პოლიციისათვის შეუჩივლია, ტაისონმა გაბაზვა დამიპირაო. ქალი ისე ყოფილა გადარეული, რომ საავადმყოფოში წაუყვანიათ, მაგრამ მალევე შინ გაუსტუმრებიათ.

ტაისონი და მისი მცველები ამ ცნობას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. მედია მოკრივის მამულს რომ შეეხმიანა, იქიდან პასუხი არ აღირსეს. სამაგიეროდ პოლიციამ განაცხადა, რომ თუმც მაიკისთვის ბრალდება ჯერაც არ წაუყენებია, ფაქტების მოკვლევა გამალებით გრძელდება.

ქალებზე ძალადობა ტაისონისათვის ახალი ხილი როდია. 1992 წელს ვინმე დეზირი ვოშინგთონის გაუპატიურებისათვის ექვსი წელიც მიუსაჯეს, მაგრამ სამი წლის შემდეგ თავდებით გამოუშვეს, ციხეში სანიმუშოდ იქცეოდა და პირობასაც იძლევა, რომ მეტს აღარ იზამსო.

კვირის ინციდენტი სულ საპირისპიროს გვიდასტურებს. თუ მოკრივეს ბრალი დაუმტკიცეს, ისევ ვირის აბანოში უკრავენ თავს, იმპრესარიოების კი მეტი საქმე გაუჩნდებათ, ვაკანტური ტიტულისათვის შერკინებები რომ მოაკვარახჭინონ.

## აშვეთია ბოავიშტაში

### ტორპედოს კი ახალი მწვრთნელი ეყოლება

როგორც სანდო წყაროდან შევიტყვეთ, ბოლო დროს უცხოეთში უფრო ხშირად მყოფი, ქუთაისის „ტორპედოს“ვარსკვლავი მიხეილ აშვეთია ამას წინათ კვლავ სტუმრობდა პორტუგალიას, სადაც იქაურ „ბოავიშტას“ მოლაპარაკებია. სავარაუდოა, რომ აშვეთია ამ კლუბს ჩვენი ჩემპიონატის დამთავრების მერე, ივნისში შეუერთდება. ეს ცნობა ერთობ მოულოდნელია, ვინაიდან ადრე აშვეთიას პორტუგალიისვე „ფარენსეში“ გადასვლაზე იყო ლაპარაკი.

რაც შეეხება „ტორპედოს“ მწვრთნელ რევაზ ბურკაძეს, იგი, თურმე, აგერ უკვე რამდენიმე ტურია, გუნდს აღარ ხელმძღვანელობს და მოსკოვში იმყოფება. მოსალოდნელია, რომ ამ დღეებში ქუთაისურ გუნდს ახალ თავკაცს დაუნიშნავენ. სავარაუდო კანდიდატებად ექვს კაცს ასახელებენ. მათ შორისაა წყალტუბოს „სამგურალის“ ახლანდელი მწვრთნელი, 36 წლის სოსო ფრუიძე.




დღეს, ვაკეში
4 საათზე

ბილეთი 1 ლარი ღირს

დღეს ჩვენს მორაგბეებს ძალზედ მნიშვნელოვანი თამაში რომ ელით, ქომაგთა მხარდაჭერა ერთობ მოუხდებათ. რაგბის თამაშის მიზანი ხომ ლელოს გატანაა და ყველაზე შესაფერი შეძახილიც

**„ლე-ლო, ლე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო!“**

გვგონია. გარდა ამისა, სტადიონზე მისულ მოხეირეებსაც ვთხოვთ, მოედანს ნუ შეესევიან, თუკი იქ ვთქვათ და მუშტიკრივი გაიმართება: უეჭველია, რომ მოასპარეზენი მათ ჩაურევლადაც მორიგდებიან.

## ეროვნული სტადიონი ლამისაა თავს დაგვექცეს!

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია გამართა.

„ახლოვდება 9 ნოემბერი, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ინგლისს უნდა ვუმასპინძლოთ, ჩვენი სტადიონების მდგომარეობა კი სავალალოა – ისაუბრა ახალკაცმა – შარშან უეფას თამაშების წინ სახელდახელოდ გარემონტდა ბათუმისა და თბილისის სტადიონები. წელსაც შეამოწმებს უეფას კომისია ჩვენს სტადიონებს, მდგომარეობა კი შარშანდელს შემდეგ არ გაუმჯობესებულა. დროა, ამაზე აქედანვე დავიწყოთ ფიქრი და არა ოფიციალურ მატჩებამდე ერთიორი კვირით ადრე.

...უსაფრთხოების ზომები თუ არ მივიღეთ, შესაძლოა ტრაგედია მოხდეს. ეს რომ არ დავუშვათ, ახლავე უნდა ვიფიქროთ ამ პრობლემის გადაწყვეტაზე.

...ჟურნალისტებს შეგიძლიათ დიდი როლი ითამაშოთ ამაში – თქვენი სიტყვა შეგვაწიოთ. ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა უეჭველად გამოიღებს შედეგს.

...უეფამ „სამტრედიას“ შინ თამაში რომ აუკრძალა, მეგონა, ამ ქალაქის მესვეურნი სტადიონს მიხედავდნენ, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. შარშან სამტრედიაში უეფას დელეგაცია რომ ჩავიდა, გამგებელმა ის იკითხა, ჩემი აქ ყოფნა თუ არის საჭიროო. მოდი და ასეთი ხალხის იმედი გქონდეს.

...მიზნად დავისახეთ ამიერიდან სერიოზულად ვიზრუნოთ სპორტულ ნაგებობებზე. რუსთაველებს შინ თამაში ავუკრძალეთ და ისინიც გულხელდაკრეფილნი არ არიან. 15 აპრილს კვლავ ჩავა რუსთავში ჩვენი კომისია და საბოლოო დასკვნებს გამოიტანს. რაც შეეხებათ სამტრედიელებს, მათ თუ რუსთაველებს არ მიბაძეს სტადიონის მოვლა-პატრონობის საქმეში, პერსპექტივაში სტადიონის დახურვა ელით“.

ბატონმა ნოდარმა პრეს-ლოჟების მდგომარეობაზეც ისაუბრა: „9 ნოემბრის წინ კი არ უნდა დაიწყოს პრეს-ლოჟის შეკეთება, არამედ ახლავე. ჟურნალისტები ოქმების ამოწერაში დროს არ უნდა კარგავდნენ. ამისათვის სტადიონზე ერთი ქსეროქსი მაინც უნდა იყოს, ოქმი რომ გადაიღონ და ჟურნალისტებს დაურიგონ. პრეს-ლოჟაში ტელეფონები და ფაქსებიც უნდა იყოს. მე ვიცი ინგლისელი ჟურნალისტების პრეტენზიულობის ამბავი, ამიტომ, სანამ ვინმე დაგვძრახავდეს, რაიმე უნდა ვიღონოთ.

...კიდევ ერთი დიდი პრობლემა გვაქვს – სასტუმროები. ერთადერთი ნორმალური სასტუმრო – „მეტეხი“ გვაქვს. ინგლისელთა დელეგაციაში 70 კაცი იქნება, ამათ დაუმატეთ ჟურნალისტები, მათ კი ერთ სასტუმროში დაბინავება არ სურთ.

...შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც ყველა ამ პრობლემის მოგვარებაზე იმუშავებს. კომისიამ ჯერ სტადიონის მდგომარეობა უნდა შეაფასოს, შემდეგ მის შესარემონტებლად საჭირო თანხა უნდა დაადგინოს. გასაგებია, რომ სახელმწიფოს უჭირს, მაგრამ გარკვეული თანხების გამოძებნა თუ არა, სტადიონის რეკონსტრუქციის პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა ხომ შეიძლება?

კიდევ ერთი: სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან მეშინია გულშემატკივრების ვანდალიზმისა. კითხვაც კი მებადება: ჩვენს ფსიქიკაში ხომ არ დევს ყველაფრის განადგურების ფენომენი? თავის დროზე პროჟექტორები მოიპარეს სტადიონიდან, ტაბლოდან კი – ნათურები.

...ინგლისელ ფანებს ზოგ-ზოგან, შეიძლება, გასდით კიდეც თავისი, აქ კი მათ არ უნდა მივცეთ აგრესიულობის გამოვლენის საშუალება. მახსოვს, „ლივერპულს“ რომ ვხვდებოდით, მაშინდელ მთავარ მწვრთნელს პეისლის უთხრეს, რომ გუნდის ორმა წევრმა ბარში იჩხუბა. ეს ამბავი პეისლიმ სრულიად მშვიდად, აუღელვებლად მოისმინა. რაც შეეხება ინგლისელთა იზოლირებას ქართველი გულშემატკივრებისგან, ამაზე ერთს ვიტყვი – მე სტადიონზე ინგლისელების გამო ზოოპარკს ვერ ავაშენებ.

...ნაკრების ბაზად ლაგოდეხში გვქონდა ადგილი შეგულებული. ჩვენს ბალანსზეც იყო, მაგრამ იმ ადგილზე უკანონო ინდივიდუალური ბინათმშენებლობა დაიწყეს. შეიძლება ბაზა მცხეთაშიც ავიშენოთ. გუბერნატორ შალვა ობგაიძის თანხმობაც გვაქვს, მაგრამ ეს მომავლის საქმეა“.

ბოლოს ეროვნული სტადიონის დირექტორმა ნუკრი კაკილაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა სტადიონის უაღრესად მძიმე მდგომარეობა. „თუ მთავრობა არ დაგვეხმარება, შეიძლება სტადიონის დახურვაც მოგვიხდეს. კიდევ ერთი პრობლემა: არ ვიცით, სტადიონი ვის კუთვნილებაშია, ფაქტიურად ჰაერში ვართ გამოკიდებულები. ჩვენი სურვილია სტადიონი მუნიციპალურ საკუთრებაში გადავიდეს, რისგანაც ქალაქის მერია ჯერჯერობით თავს იკავებს. ახლა კი მთავარი: სპეციალისტთა ვიზუალური შეფასებით სტადიონი სავალალო დღეშია. წარმოიდგინეთ, დეტალური ექსპერტიზის შემდეგ როგორი სურათი დაიხატება. რეკონსტრუქციას კი 10 მილიონი დოლარი სჭირდება. იმასაც კი ვფიქრობთ, ღირს თუ არა მისი რეკონსრუქცია? ტანვარჯიშის დარბაზი უკვე წყალში იძირება. ერთი სიტყვით, შველა გვესაჭიროება“...

# მეკარეს კარში რა უნდა?

## საქართველოს ჩემპიონატი

### XXI ტურის მიმოხილვა

### ზუგდიდი 2:2 სამტრედია

ზუგდიდი: ნაყოფია, ახვლედიანი, ჯაბუა, გუგუჩია, მიქაძე, კუკავა, კვარაცხელია, კუტალია, გაბედავა, ჯავაშვილი, აფაქიძე.

სამტრედია: დოლაბერიძე, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, რუხაძე, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია, ჩომახიძე, ჭანტურია.

1:0 კვარაცხელია (7 პ), 2:0 კუტალია (20), 1:2 ჯელაძე (44 პ), 2:2 გვასალია (84)

გაფრთხილება: ახვლედიანი, გუგუჩია, ჯავაშვილი, გვასალია, ჭანტურია

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

სენსაციების ქვეყანაა საქართველო. ყველაფერი გასაკვირი ჩვენში უნდა მოხდეს. ჯერჯერობით არ ვიცით, რა გაუჭირდა ისეთი სამტრედიულ კლუბს და მის ხელმძღვანელობას, ზუგდიდში თავდამსხმელად თავიანთი მეკარე გრიგოლ ჭანტურია რომ ათამაშეს, მაგრამ ეს ფაქტი რომ გუნდში დიდ არეულობაზე მეტყველებს, ნათელია. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ თამაშის დღეს „სამტრედიის" ლიდერი გიორგი დარასელია ქუთაისში უცქერდა „ტორპედო" – „დინამოს" თამაშს, ხოლო გუნდისათვის არანაკლებ საჭირო მეორე ფეხბურთელი ბუბა ტყავაძე თბილისში იმყოფებოდა. არადა, სარწმუნო ინფორმაციებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ცნობილია, რომ ორივე ჯანმრთელია და არც დისკვალიფიცირებულნი არიან.

პრობლემებს, სამტრედიელები, იმედია, არ შეუშინდებიან. ჩვენი მხრივ შევეცდებით გუნდში არსებული სიტუაციის შესახებ შემდეგ ნომერში ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ, ახლა კი ზუგდიდის შეხვედრის შესახებ მოგითხრობთ.

თამაში ზუგდიდელთა უპირატესობით დაიწყო და ოცი წუთის შემდეგ მასპინძლები უკვე 2:0 იგებდნენ. ჯერ იყო და გაბედავას წაქცევისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი კვარაცხელიამ გამოიყენა, ხოლო მერე კუტალიამ მცველებს ბურთი „მოპარა" და ანგარიში გაზარდა. ორმა გოლმა სტუმრები გამოაფხიზლა და ისეთი თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. ერთ მომენტში ფეხბურთელებს ნერვებმაც უმტყუნეს, მაგრამ მსაჯმა ერთდროულად ხუთი ფეხბურთელი ყვითელი ბარათით დაასაჩუქრა და აყაყანებული მოთამაშეები დაამშვიდა.

სამტრედიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი რთულ სიტუაციაში არ დაიბნენ. სხვათა შორის, ამპლუაშეცვლილმა ჭანტურიამ გვასალიასთან ერთად მეტად სახიფათო დუეტი შექმნა და მასპინძელ მცველებს ბლომად თავსატეხი გაუჩინა. სწორედ მათ მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მოცელეს გვასალია საჯარიმოში, ხოლო ჯელაძემ ტაიმის ბოლო წუთზე ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

მეორე ტაიმი საინტერესო გამოდგა. ზუგდიდელები კი ჯობდნენ სტუმრებს, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს. მოუსვენარმა გვასალიამ ერთ მომენტში მცველებს დაასწრო, საჯარიმოში ჩაწოდებულს ფეხი წაკრა და ბურთი დინჯად შეაგორა კარში. მასპინძლებს ანგარიშის შესაცვლელად დრო აღარ დარჩათ – მსაჯის სასტვენმა ზავი დააფიქსირა.

ამ ფრემ „სამტრედია" „დინამოს" ოთხი ქულით ჩამოარჩინა და მეოთხე ადგილზე ჩამოაქვეითა, ხოლო ზუგდიდელები მეათე ადგილზე დააფუძნა.

### ბათუმი 0:1 კოლხეთი

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, მუჯირი, შეყილაძე, კანტიძე (ტულუში 62), მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ლლონტი, უჯმაჯურიძე, მინდაძე (ი. მახარაძე 76)

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე, გიგატაძე, ხუჯაძე, არზიანი, ლალანიძე, კიკლიაშვილი (კაკაჩია 60), ამბიძე, გიორგაძე, გაბისონია (ბულუხია 87), ქობულაძე

0:1 ლალანიძე (74)

გაფრთხილება: გაბისონია

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

საერთო უპირატესობა პირველ ტაიმში ბათუმელთა მხარეს იყო, მაგრამ ამას რეალურად არაფერი მოჰყოლია. მეორე ნახევარში ფოთელებმა იძალეს და თამაშიც გათანაბრდა. განსაკუთრებით გაბისონია აქტიურობდა. სტუმართა მწვრთნელმა ფილიამ 5-4-1 ტაქტიკური სქემა გამოიყენა. დაცვაში გიგატაძე, ხუჯაძე, არზიანი, ლალანიძე და ქობულაძე გაამწესა, ნახევარდაცვაში მიქაბერიძე, კიკლიაშვილი, ამბიძე და გიორგაძე აქტიურობდნენ, ხოლო ერთადერთი თავდამსხმელი გელა გაბისონია მასპინძელთა ოთხი მცველიდან ვერცერთმა შეაჩერა, თუმცა მისი დევნის მეტი არაფერი უკეთებიათ. გაბისონიას თავდადებულმა თამაშმა სტუმრები ახეირა: 74-ე წუთზე იგი მცველებს დაუსხლტა და საჯარიმოში კარის გასწვრივ ჩააწოდა, აქ კი ბურთს ლალანიძემ ფეხი დაუხვედრა და შეაგდო.

ბათუმელთა ცდას, თამაშში კორექტივები შეეტანათ, შედეგი არ მოყოლია. „კოლხეთმა" დამსახურებული სამი ქულა მოიპოვა, საპრიზო ადგილზე გასვლის შანსიც შეინარჩუნა და უახლოეს მდევარს ექვსი ქულითაც გაუსწრო.

### ივერია 1:2 ეგრისი

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ვ. ბუხრიკიძე (ზირაქაძე 73), ლომიძე (გლუნჩაძე 68), ტყემალაძე, კაციაშვილი, ი. ბუხრიკიძე

ეგრისი: ბულია, ჯლარკავა, გ. მიქავა, ბენდელიანი, ძაძამია, ნოდია, ფიფია, სირია, თორია, თვარაძე, ა. მიქავა

0:1 თვარაძე (12), 1:1 ლურსმანაშვილი (18 პ), 1:2 თვარაძე (42)

გაფრთხილება: ნოდია, ჯლარკავა, სირია, ი. ბუხრიკიძე

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

თამაშამდე სენაკელთა წარმატებას ცოტა ვინმე თუ დაიჯერებდა – „ეგრისი" ყველას განწირული ეგონა, მაგრამ ბოჯგუა სხვაგვარად ფიქრობდა. მწვრთნელმა შეძლო ფეხბურთელები საბრძოლველად გაეწყო.

„ივერია" უტევდა და საგოლე მომენტებიც კი შექმნა, მაგრამ ამაოდ გაირჯა. ამასობაში სტუმრებმა კონტრშეტევა განახორციელეს და საჯარიმო მოედნიდან ექვსი მეტრის მოშორებით ჯარიმის დარტყმის უფლებაც მიიღეს. დარტყმა გამოცდილმა თვარაძემ შეასრულა. ბურთმა მეკარეს ახლო კუთხეში ჩაუქროლა და ბადეში მოთავსდა. მასპინძლებმა წონასწორობა ექვს წუთში აღადგინეს – ლურსმანაშვილმა კაციაშვილის მოცელვისათვის დანიშნული პენალტი გაიტანა. ჩაშურელ ლიბეროს თამაშის ბოლო წუთზეც მიეცა თერთმეტმეტრიანის გატანის შანსი, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა. სტუმრებს გამარჯვება კი ისევ კაპიტნის დარტყმამ მოუტანა. გოლი პირველის ტყუპისცალი გამოდგა – თვარაძემ ჯარიმა მეკარეს ისევ ახლო კუთხეში დაურტყა, გვარამაძემ დააგვიანა და „ეგრისმა" სენაკში სამი ქულა წაიღო. ამ მოგებამ მისი ჯგუფში დარჩენის შანსები ერთი ორად გაზარდა.

### მეტალურგი 5:0 სიონი

მეტალურგი: დოლიძე (ლოლაშვილი 78), ფოფხაძე, სილაგაძე, პატარიძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი (არჩვაძე 31), ჩალაძე, პერტია, მეტრეველი, ალადაშვილი

სიონი: სიდამონიძე, გაბრიჭიძე, შაკიაშვილი, პაპიძე, ბურდული, დალაქიშვილი, გოგოლაძე, ტორომშელიძე, მოსეშვილი, სამხარაძე, ანდღულაძე

1:0 ჩალაძე (6), 2:0 პატარიძე (7), 3:0 ჩალაძე (39), 4:0 ალადაშვილი (70), 5:0 მეტრეველი (87)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

„მეტალურგს" გამარჯვება არ გასჭირვებია: პირველივე წუთებზე ზედიზედ ორი გოლი შეუგდო მოწინააღმდეგეს. პირველი მეტად ლამაზი იყო: ზირაქიშვილის დაწყებული შეტევა ალადაშვილმა გააგრძელა და ბურთი ჩალაძეს მიაწოდა. რუსთაველთა მერვე ნომერმა ბურთი ერთი შეხებით დაამუშავა, მცველები ხახამშრალი დატოვა და ანგარიში გახსნა. ამას ერთ წუთში პატარიძემ მეორეც მიაყოლა. ცოტა ხანში ზირაქიშვილმა ტრავმა მიიღო, ძოძუაშვილმა არ გარისკა და იგი არჩვაძით შეცვალა, მაგრამ მომხდარ ცვლილებას თამაშის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია. რუსთაველებს კიდევ შეეძლოთ გატანა.

სამტრედიელთა მსგავსად, მინდვრის მოთამაშეთა ნაკლებობას, თურმე ბოლნისური გუნდიც განიცდის. სათადარიგო მეკარემ ნუგზარ დალაქიშვილმა ორივე ტაიმი მცველად ითამაშა და ახალბედას კვალობაზე არცთუ ისე ცუდად, მაგრამ თუკი ჭანტურიამ თავისი გუნდის არწაგებაში დიდი წვლილი შეიტანა, ბოლნისელმა გოლკიპერმა „სიონს" ვეღარ უშველა.



როინ მარლიშვილმა ჰეთ-თრიქი გააზერხა

### დილა 8:3 დურუჯი

დილა: მდივანი, ხ. გაგნიძე (ჯალაბაძე 46), ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხაჭაპურიძე, მარეხაშვილი (კაიდარაშვილი 46), ტაბატაძე, მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ციცქიშვილი 46), რევაზიშვილი

დურუჯი: გ. სომხიშვილი, ვარადაშვილი (დავითაშვილი 75), ბოჭორიშვილი, ცინცაძე (მ. სომხიშვილი 80), მოსიაშვილი, ოსეფაშვილი, ყანჩაშვილი, კობიაშვილი, ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, ნიწრიაშვილი (ჯიქურიშვილი 46)

1:0, 2:0, 3:0 მარლიშვილი (15, 16, 22), 4:0 ლომიძე (26), 5:0 ხორგუაშვილი (27), 6:0 რევაზიშვილი (55), 6:1 ყიზილაშვილი (58), 6:2 ყანჩაშვილი (72), 7:2 კაიდარაშვილი (75), 8:2 ჯალაბაძე (78), 8:3 ყანჩაშვილი (83)

მსაჯი: ტ. ნიშნიანიძე (თბილისი)

მამუკა კვანტალიანი

# მთავარია გქონდეს ფული, ანუ რატომ უჭირს „სიონს"

უკვე ერთი თვე გავიდა ეროვნული ჩემპიონატის განახლებიდან, ექვსი ტურიც ჩატარდა და გუნდების შესაძლებლობებზე გარკვეული წარმოდგენაც შეგვექმნა. გამოიკვეთნენ ლიდერები და ჩამორჩენილები. თუმცა ამ უკანასკნელთაგან რამდენიმეს პატრონი გაუჩნდა და მათი სატურნირო მდგომარეობაც გაუმჯობესდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ბოლნისის „სიონზე". ბოლნისელებმა მეორე წრე ისე ცუდად დაიწყეს, უარესი ძნელად წარმოსადგენია და ახლა სატურნირო ცხრილის ბოლოდან თავის დაღწევაც მეტად უჭირთ.

„სიონის" მთავარ მწვრთნელს, ნოდარ ხიზანიშვილსაც, მხოლოდ ისღა აქვს საფიქრალი, როგორ შეინარჩუნოს ადგილი ჯგუფში. მოგეხსენებათ, ადგილის შენარჩუნება მარტო სურვილებით და ჯადოსნური კვერთხის აქნევით არ ხდება – ფეხბურთში ფინანსური მხარე არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობს, ამ მხრივ კი ბოლნისელებს არ ულხინთ. თუმცა, ხიზანიშვილის თქმით, ბოლო დროს ვითარება უკეთესობისკენ შეცვლილა:

– გამგეობის ხელმძღვანელობამ გარკვეული დახმარება გაგვიწია. იმედი მაქვს, ეს შედეგებზეც იმოქმედებს.

**– ეს დახმარება ერთჯერადი იყო თუ სტაბილური გახდება?**

– მიჭირს პასუხის გაცემა, რადგანაც ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. რა თქმა უნდა, სასურველია, გამგეობამ კვლავაც გაგვიწიოს დახმარება და ამას შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონდეს. ჩვენც ვალში არ დავრჩებით – არც თამაშის ხარისხით და არც შედეგით.

**– მოთამაშეებმა კუთვნილი თანხა თუ მიიღეს?**

– მხოლოდ ნაწილმა, ნაწილი კი გასასტუმრებელი გვყავს. ფეხბურთელები რამენაირად რომ შევინარჩუნოთ და სტიმული მივცეთ გუნდში დასარჩენად, ფინანსურად უნდა დავაინტერესოთ. ფინანსური დახმარება კი, ვიმეორებ არაერთჯერადი უნდა იყოს. ალბათ გეცოდინებათ, რომ ჩვენი სამი მოთამაშე – რუხაძე, ვაშაკიძე და ფაიქიძე რუსეთში წავიდა, ამას რამდენიმე ფეხბურთელის ტრავმაც დაემატა და, ფაქტიურად, სათადარიგოთა გარეშე გვიწევს თამაში. ასე რომ, რთული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით, რომელთა მოუგვარებლობის შემთხვევაში გავარდნა არ აგვცდება. და ეს სრულიად ლოგიკური იქნება. ახლა ერთიღა დაგვრჩენია – ძალების მთელი მობილიზაცია, მაგრამ, რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერის გარეშე, არაფერი გამოგვივა.

**– საწყენად არ გეუბნებით და, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მეჩვენება, ასეთმა მოუმზადებელმა და დასუსტებულმა გუნდმა შეძლოს მდგომარეობის გაუმჯობესება...**

– გეთანხმებით. ასეთი გუნდით მართლაც ძნელია ბრძოლა. თანაც, მოგეხსენებათ, მაღალი კლასის ფეხბურთელები „სიონში" არ გამოდიან. მხოლოდ ერთის – მოთამაშეთა მობილიზების იმედი მაქვს. „ეგრისის" ხაშურში გამარჯვებამ კიდევ უფრო გაგვირთულა მდგომარეობა, მაგრამ იმედი მაინც არ გადამიწყვეტია.

...თუმცა ამდენი პრობლემის ერთბაშად დაძლევა მეტად ძნელია: საწვრთნელი პროცესი მოშლილია, „სიონს" არ გააჩნია ბაზა, მოედანსაც ვუფრთხილდებით... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაგრამ, ვიმეორებ, უბრძოლველად არცერთი შეხვედრის დათმობას არ ვაპირებთ.

**– ფეხბურთელთა წასვლამ ტაქტიკური ცვლილებები ხომ არ გამოიწვია?**

– ეს გარდუვალი იყო, თუმცა კი ძალების გადანაწილება მეტად რთული და მტკივნეული გამოდგა. წასული ფეხბურთელები გამოცდილები იყვნენ, თამაში ეხმოდათ და ჩემს დავალებასაც, ცუდად თუ კარგად, ასრულებდნენ. მათმა წასვლამ პრობლემა ამ მხრივაც მოგვიმატა: ჩვენ გვსურდა ბურდული ნახევარდაცვაში გადაგვეყვანა, მაგრამ იძულებულები ვართ დაცვაში ვათამაშოთ. გუნდის ლიდერი ყიფშიძე ფლანგზე უნდა გადაგვეწია, მაგრამ იძულებული გავხდი ისევ დაცვის ცენტრში წასული რუხაძის ნაცვლად დამეყენებინა. თამაშის ხარისხზეც აღარ ვფიქრობთ, მხოლოდ შედეგი და ქულები გვაინტერესებს. სხვა რაღა დაგვრჩენია...

მერაბ მამულაშვილი

## ზუგდიდს სამი ქულა, «სიონს» – წაგება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლნისის „სიონს" XIX ტურში ზუგდიდში გამოუცხადებლობისთვის წაგება ჩაუთვალა. შეგახსენებთ, რომ „სიონი" 31 მარტს უთენია გაემგზავრა სამეგრელოს, მაგრამ შუა გზაში, რიკოთამდე არმისულს, ავტობუსმა უმტყუნა და, ბუნებრივია, თამაშზე ვერ ჩავიდა. დებულების თანახმად, ბოლნისურ გუნდს წაგება ჩაეთვალა, ხოლო ზუგდიდელებს ესოდენ საჭირო სამი ქულა დაეწერათ და წელშიც გაიმართნენ. ამავე დროს, ფედერაციამ გაითვალისწინა ამ კონკრეტული შემთხვევის გარემოება და ბოლნისელებს ფულადი ჯარიმა არ გადაახდევინა.


სააგენტო «მინერვა»

მოგემსახურეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.

– მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
– ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;
– მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია – მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

ყველაფერი ეს – ჩვენთან!

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი", ცენტრალური შესასვლელი.
ტელ: 93-22-53


## მეორე ჯგუფი

### XXIII ტური

7-8 აპრილი

### აღმოსავლეთი

იბერია – აკადემია 1:3
აზოტი – კოდაკო 1:2
შირაქი – მერანი 91 0:2
ასკ – ცხინვალი 2:0
მრეტები – არმაზი 0:0
ყინვალი – ალგეთი 3:0
ჭაბუკიანი – უნივერსიტეტი 0:2
თორი – დინამო 2 (თბილისი) 1:3
მორკინალი – მესხეთი 3:0 (მესხეთს თამაშზე დაგვიანებისთვის წაგება ჩაუთვალეს)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 91 | 22 | 16 | 3 | 3 | 59-11 | 51 |
| აკადემია | 22 | 16 | 2 | 4 | 40-21 | 50 |
| დინამო 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 47-15 | 45 |
| მორკინალი | 22 | 12 | 5 | 5 | 34-18 | 41 |
| აზოტი | 22 | 11 | 6 | 5 | 38-20 | 39 |
| არმაზი | 21 | 10 | 8 | 3 | 26-12 | 38 |
| უნივერსიტეტი | 21 | 11 | 3 | 7 | 40-24 | 36 |
| ჭაბუკიანი | 22 | 11 | 2 | 9 | 51-39 | 35 |
| ასკ | 22 | 10 | 4 | 8 | 34-26 | 34 |
| ალგეთი | 22 | 9 | 4 | 9 | 29-34 | 31 |
| იბერია | 22 | 9 | 1 | 12 | 29-35 | 28 |
| ენერგეტიკოსი | 21 | 8 | 4 | 9 | 31-31 | 28 |
| ყინერი | 22 | 6 | 4 | 12 | 24-49 | 22 |
| ცხინვალი | 22 | 5 | 6 | 11 | 20-26 | 21 |
| მრეტები | 22 | 5 | 6 | 11 | 18-35 | 21 |
| შირაქი | 22 | 5 | 6 | 11 | 21-44 | 21 |
| კოდაკო | 22 | 5 | 6 | 11 | 26-51 | 21 |
| თორი | 22 | 2 | 4 | 16 | 18-47 | 10 |
| მესხეთი | 22 | 2 | 3 | 17 | 16-63 | 9 |

### დასავლეთი

იაგური – სამგურალი 1:3
სქური – დინამო 2 (ზუგდიდი) 1:0
შუქურა – ჩიხურა 5:0
მეშახტე – საპოვნელა 1:1
სამეგრელო – მარგვეთი 2 1:0
მალაროელი – რწმენა 3:0
სულორი – კოლხეთი 2 3:0
ბახმარო – მამისონი 2:3
მერცხალი – ანჯელი 0:1
იმერეთი – ჩხერიმელა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანჯელი | 23 | 21 | 0 | 2 | 64-16 | 63 |
| სამგურალი | 23 | 20 | 2 | 1 | 72-19 | 62 |
| შუქურა | 23 | 19 | 3 | 1 | 78-19 | 60 |
| მალაროელი | 23 | 19 | 1 | 3 | 57-20 | 58 |
| სულორი | 23 | 15 | 1 | 7 | 47-28 | 46 |
| იაგუარი | 23 | 15 | 1 | 7 | 45-30 | 46 |
| მერცხალი | 23 | 9 | 7 | 7 | 28-28 | 34 |
| მამისონი | 23 | 10 | 2 | 11 | 40-43 | 32 |
| რწმენა | 23 | 10 | 2 | 11 | 44-34 | 32 |
| იმერეთი | 23 | 9 | 4 | 10 | 33-30 | 31 |
| კოლხეთი 2 | 23 | 8 | 4 | 11 | 39-48 | 28 |
| სამეგრელო | 23 | 8 | 4 | 11 | 29-31 | 28 |
| საპოვნელა | 23 | 7 | 6 | 10 | 28-50 | 27 |
| დინამო 2 | 23 | 6 | 7 | 10 | 39-42 | 25 |
| სქური | 23 | 7 | 2 | 17 | 29-46 | 23 |
| მეშახტე | 23 | 6 | 4 | 13 | 36-40 | 22 |
| მარგვეთი 2 | 23 | 6 | 1 | 16 | 25-51 | 19 |
| ჩიხურა | 23 | 4 | 3 | 16 | 29-69 | 15 |
| ჩხერიმელა | 23 | 2 | 2 | 19 | 30-88 | 8 |
| ბახმარო | 23 | 0 | 2 | 21 | 24-83 | 2 |

# რატომ უხდიან არიგოს ჩივაძეზე ბევრად მეტს?

ქართულ ფეხბურთს მწერალთა სახით დიდი ქომაგი რომ ჰყავს, ეს 10 აპრილს მაჩაბლის ქუჩაზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მათმა შეხვედრამაც დაადასტურა.

შეხვედრის იდეა კი „ბერიკონში" საქართველოს თასის ნახევარფინალის კენჭისყრის დროს დაებადათ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძესა და სფფ-ს პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს.

აღარ დაუყოვნებიათ, ღონისძიების შემდეგ სასწრაფოდ შეუდგნენ საქმეს და მოაბეს კიდეც მას თავი.

„ერთი შეხედვით მწერლებს ფეხბურთთან თითქოს რა კავშირი უნდა გვქონდეს, მაგრამ ქართველებმა რომ ერთმანეთის სატკივარი უნდა გავითავისოთ, ეს არ გვავიწყდება. იქნებ ერთობლივი ძალებით პრობლემები უკეთ მოვაგვაროთ" — ბრძანა გურამ ფანჯიკიძემ მას შემდეგ, რაც მიზეზი დააზუსტა. „დღეს ბავშვები სხვა ცხოვრებით ცხოვრობენ, სხვა საფიქრალი და საზრუნავი აქვთ — წიგნებს ისინი არ კითხულობენ და კინოთეატრებში არ დადიან. ყველაზე მეტად რაც მიკვირს, ისაა, რომ ფეხბურთსაც აღარ თამაშობენ. მათი „სულიერი საზრდო" ხშირ შემთხვევაში ტელევიზორში პორნოგრაფიული ფილმების ყურებით ამოიწურება. ამიტომ ფეხბურთს ერთ-ერთი დიდი როლი ენიჭება პიროვნების ჩამოყალიბებაში — რაც უფრო მეტი ახალგაზრდა ივლის ფეხბურთზე, მით უფრო ნაკლები გზასაცდენილი ქართველი გვეყოლება. ფეხბურთს სახელმწიფოს მხარდაჭერა ესაჭიროება. პრობლემაც უამრავია. ფეხბურთელთა უცხოეთში წასვლას თუ არ დავარეგულირებთ, დიდ პრობლემებს წავაწყდებით. მე ქართული ფეხბურთის ღირსების შელახვად მიმაჩნია, როდესაც ჩვენი მოთამაშეები ვლადიკავკაზში გადადიან. ისეთი რა გაგვიჭირდა, რომ მათი შესანახი თანხა ვერ გამოვნახეთ."

ფანჯიკიძის შემდეგ სიტყვა ფედერაციის წარმომადგენლებმა წარმოთქვეს. ნოდარ ახალკაცმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ქართული ფეხბურთისათვის არანაირი ფინანსური მხარდაჭერა არ აღმოუჩენია და რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფულოდ დახმარებით არსებობს.

ალექსანდრე ჩივაძემ ნაკრების გამოსვლა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და ხუმრობით დასძინა: „დიდი მადლობა ფიფას ხელმძღვანელებს, ძლიერ გუნდებს რომ შეგვახვედრა. ადრე გერმანიასა და ბულგარეთს, ახლა — იტალია-ინგლისს. ხუმრობა იქით იყოს და, სწორედ ასეთი დონის მეტოქეებთან შეხვედრა აყალიბებს ძლიერ გუნდს. იმას ვერავინ იტყვის, რომ გამოუცდელნი ვართ. ახალბედობის ეტაპი უკან დარჩა, ახლა უკვე საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლაზე ვფიქრობთ."

ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ხაზი გაუსვა ფეხბურთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის და ვლადიკავკაზის „ალანიას" მაგალითი მოიყვანა: „რუსეთში 50 გალაზოვისნაირი პრეზიდენტია, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ოსეთის პრეზიდენტს თავისუფლად შეუძლია იამაყოს იმით, რომ გუნდი რუსეთის ჩემპიონი გახადა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, ოსეთი ტრადიციულად მოჭიდავეებით რომ არის ცნობილი, მაგრამ ახლა ყოფილი მოჭიდავე — მსოფლიო ჩემპიონები შვილებს ფეხბურთის სექციაზე ატარებენ. ახლა ეკონომიკურ მხარეზეც ვთქვათ: ევროპის ჩემპიონატის ფინალში რომ გავსულიყავით, საკმაოდ სოლიდურ თანხას მივიღებდით — 1-2 მილიონ დოლარს კი არა, გაცილებით მეტს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც თუ გავედით, ფინანსურად სრულიად უზრუნველყოფილნი ვიქნებით და აღარ მოგვიწევს მთავრობისათვის ხელებში ყურება, პირიქით, ზოგიერთ ორგანიზაციას აქეთ დავეხმარებით."

მწერლებმა სტუმრებს კიდევ უამრავი მათთვის საინტერესო შეკითხვა დაუსვეს, სერიოზულ სჯა-ბაასს ხუმრობა სცვლიდა. სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარე ედიშერ მაჩაიძემ ასეთი აზრი გამოთქვა: „კარგი იქნება, თუ ქართული ფეხბურთის განვითარების შესახებ ცნობილ სპორტსმენებსაც დავეკითხებით. მათთან თანამშრომლობით საქმეს უკეთ გავაკეთებთ."

ამის თაობაზე ნოდარ ახალკაცმა განაცხადა: „ჩვენ უკვე მოვძებნეთ ფორმა ასეთი თანამშრომლობისთვის. გამოჩენილი სპორტსმენები თავიანთ მოსაზრებებს წერილობით გაგვიზიარებენ. ბევრი მათგანი გვაკრიტიკებს და გვთავაზობს საქართველოს ჩემპიონატსა და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გაუმჯობესების ვარიანტებს, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად, წერილობით სახეს კი მათ არ აძლევენ".

ტარიელ ჭანტურიამ მოითხოვა, შესაძლებლობის ფარგლებში, ესაუბრათ, თუ რა კონფლიქტია დღეს ქართულ ფეხბურთში.

„მე ვერ გეტყვით, რომ ქართულ საფეხბურთო სამყაროში რაიმე კონფლიქტს აქვს ადგილი, — ბრძანა ახალკაცმა. — უბრალოდ, და ეს სრულიად ბუნებრივია, ყველას თავისი აზრი გააჩნია ამა თუ იმ საკითხზე. აზრთა სხვადასხვაობა ერთგვარად ხელსაც გვიშლის, ერთსულოვნება ხომ ნებისმიერ საქმეს წინ სწევს. ზოგიერთს ვერ გაუაზრებია, რას წარმოადგენს ჩვენი ფედერაცია და შეუძლია თუ არა სახელმწიფო ორგანოებს მასზე ძველებურად ზეგავლენის მოხდენა. ნებისმიერი საკითხის ცივილიზებული ფორმით განხილვა შეიძლება, მაგრამ ბევრი, საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმისას, ზრდილობისა და თავშეკავების საზღვრებს სცილდება ხოლმე. ასეთ კაცს კი ჩვენ ვერ და არ მოვუსმენთ. გასაგებია, რომ ბევრს გაუმართლებლად მიაჩნია 16 გუნდი საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში, მაგრამ, ყველა ნიუანსი რომ გაითვალისწინონ, ისინიც ჩვენნაირ დასკვნამდე მივლენ. ფიფას რეკომენდაციების მიხედვით იტალიის, რუმინეთისა და საქართველოს გუნდებისათვის ჩემპიონატში 34 თამაშზე მეტის ჩატარება მიზანშეწონილი არ არის. 10-12 გუნდიანი პირველობისას კი ეს რიცხვი 36-დან 44-მდე გაიზრდება. მოკლედ, 16-გუნდიანი ჩემპიონატი ჩვენი ახირება არ გახლავთ. ამ გადაწყვეტილებამდე გარკვეული გარემოებების გათვალისწინების შედეგად მივედით. ახლახანს ერთმა მწვრთნელმა მითხრა, ჩვენთვის უპრიანი 12-გუნდიანი ჩემპიონატი იქნებოდაო. დავთანხმდები, თუკი კალენდარს წარმომიდგენ-მეთქი. ამაზე კი არ მიფიქრიაო, — მიპასუხა. და ასე ხშირად ხდება — მთავაზობენ ათას წინადადებას, რეალურს კი — ნაკლებად. ვთქვათ და, შევამციროთ გუნდების რაოდენობა, სად წავიდნენ ფეხბურთელები? ნუ შევადარებთ შოტლანდიას, ავსტრიასა თუ დანიას. აქ სხვა ვითარებაა".

შოთა ნიშნიანიძე ძლიერ შეშფოთებული ყოფილა ჩვენი ფეხბურთის დონის დაცემით, რაკილა იკითხა: არ შეიძლება ესენგეს ჩემპიონატის მოწყობა, ჩვენმა ფეხბურთმა კვლავ რომ დაიბრუნოს ძველი დიდებაო?

ნოდარ ახალკაცს კი ეს ცოტა სხვაგვარად წარმოუდგენია — „ქართული ფეხბურთი ქვეყნის ეკონომიკურ მომძლავრებასთან და ფეხბურთელთა მიგრაციის შეწყვეტასთან ერთად განვითარდება. ნებისმიერ ძლიერ გუნდს მყარი ფინანსური საფუძველი აქვს, რასაც საქართველოს ვერც ერთ გუნდზე ვერ ვიტყვით. მაგრამ გამოსავალი ესენგეს ჩემპიონატიც არ არის. საქართველოდან უფას თასებზე წელს ოთხი გუნდი დაუშვეს, ესენგეს ჩემპიონატში ჩართვით კი ეს შესაძლებლობა მოგვესპობა. თუ გვინდა, ჩვენი ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად წარსდგეს, ჩემპიონატიც დამოუკიდებლად უნდა ჩავატაროთ. ბევრს უკვირს, ქართველი ფეხბურთელებით ძლიერი გუნდები რომ არ არიან დაინტერესებულნი, ქრიქულების გარდა. ეს არც არის გასაკვირი. ჩვენ ხომ ახლახანს გავედით საერთაშორისო სარბიელზე და მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში კარგად არ გვიცნობენ. ქართულ ღვინოს ვერ ვასაღებთ და ფეხბურთელებისა რა უნდა გვიკვირდეს. ჯერჯერობით ისიც უნდა ვიკმაროთ, რომ წასულები ქართულ ფეხბურთს დიდ რეკლამას უკეთებენ. მაგალითად, ქინქლაძე — იგი ინგლისში საქართველოს ერთგვარ „სავიზიტო ბარათად" იქცა".

„ლიტერატურული საქართველოს" მთავარმა რედაქტორმა თამაზ წივწივაძემ ნოდარ ახალკაცს თანამშრომლობა შესთავაზა და აღუთქვა, რომ ყოველი ნომრის ერთ გვერდს რუბრიკას — „საუბრები ქართულ ფეხბურთზე" დაუთმობს, რაზეც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დიდი სიხარულით დათანხმდა: „ხალხმა უნდა გაიაზროს ფეხბურთის დანიშნულება. 120 000 კაცი მოვიდა გერმანელებთან შეხვედრაზე, ევროპის 45 ტელეკომპანია გადასცემდა ამ მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას. ამდენი ხალხის თავშეყრა ფეხბურთის გარდა არცერთ სხვა ღონისძიებას არ შეუძლია. ფეხბურთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მას მიხედვა სჭირდება. არა სიტყვებით, არამედ საქმით. ჩვენ კი რა პირობებში ვმუშაობთ, კარგად მოგეხსენებათ. თუნდაც ჩვენი შენობა ავიღოთ — სამარცხვინოა. შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში საკუთარი ანგარიში გვაქვს გახსნილი და ამ თანხებით შენობის გარემონტება კი შეგვეძლო, მაგრამ მაშინ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის თამაშებისათვის აუცილებელი საგარანტიო თანხა აღარ დაგვრჩებოდა. რაზან პირობებზე ვსაუბრობთ, შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ არიგო საკის ამ ქვეყნის ფედერაცია წელიწადში 1 100 000 დოლარს უხდის. ამის ფონზე კი ჩივაძის ხელფასი პირდაპირ სასაცილოა, მაგრამ სხვა გამოსავალი და საშუალება დღეს არ მოგვეპოვება, უნდა დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს".

ამაზე ჩივაძემ იხუმრა, ნეტავი არაფერი გამეგო საკის ანაზღაურების შესახებ, ხომ მშვიდად ვიძანებდიო. შემდეგ ჩამოთვალა ის პრობლემები, რომლებსაც ნაკრების ხელმძღვანელობა შეკრებისას აწყდება.

ბოლოს ისევ ახალკაცმა ისაუბრა: „მოძველდა პიერ დე კუბერტენის ფრაზა, რომ მთავარი არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობაა. საბჭოთა კავშირის პირველობებისას ხშირად ეწყობოდა მწვრთნელთა სემინარები, სადაც ერთმა მწვრთნელმა იცოდა ხოლმე თქმა — ჩემი მიზანი გუნდის თასის ფინალში გაყვანააო. ასეთი ხალხისა არ მესმის — თუ ფინალში გადიხარ, თასის აღებაზეც უნდა იფიქრო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ევროპის ჩემპიონატის ქვეჯგუფში მესამე და მეოთხე ადგილი ვერაფერი შედეგია. ამას არ უნდა დავჯერდეთ, უფრო დიდი მიზნები უნდა დავისახოთ, მით უმეტეს, რომ ევროპის ჩემპიონატის ათმა თამაშმა ნაკრების მწვრთნელს გარკვეული გამოცდილება შესძინა. სხვათა შორის, ბევრს უკვირდა, რატომ დავნიშნეთ ნაკრების მწვრთნელად ჩივაძე — კაცი, რომელსაც ამ მხრივ არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ჯერ ერთი, მას დიდი ფეხბურთი უთამაშია და ამიტომ უფრო გაუადვილდებოდა მწვრთნელობა, თუმცა მისი დიდი ფეხბურთელობა არ იყო ძირითადი არგუმენტი. მე მასში ის თვისებები დავინახე, მწვრთნელს რომ უნდა ჰქონდეს. დიპლომის არქონა ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარი ნიჭია"...

... ბევრი ისაუბრეს სტუმარ-მასპინძლებმა ქართული ფეხბურთის სატკივარსა და პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზეც იმსჯელეს. ამას ის ბუნებრივი და უშუალო ატმოსფეროც უწყობდა ხელს, შეხვედრის მონაწილეთა შორის რომ დამყარდა. ბოლოს ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ მსგავსი შეხვედრები კვლავაც მოეწყობა.

მერაბ მამულაშვილი

## იტალია

### ლაციო 4:0 ფიორენტინა

ლაციო: მარკეჯანი, ნესტა, ფავალი, დი მატეო, ნეგრო, შამოტი, ბოკშიჩი (ესპოზიტო 75), ფუზერი, კაზირაგი (პიოვანელი 89), ვინტერი, სინიორი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, პიაჩენტინი (რობიატი 80), ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა (კოისი 46), ბატისტუტა, რუი კოშტა (ბეტონი 71), ბაიანო

გოლი: ვინტერი (14), სინიორი (33, 52), კაზირაგი (83)

გაფრთხილება: ფუზერი, კაზირაგი, პადალინო

გაძევება: ამორუზო (55)

### პიაჩენცა 0:1 ვიჩენცა

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია (მორეტი 68), როსინი (ლორენცინი 46), დი ფრანჩესკო, მ. კონტე, ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე (კაპელინი 58), კაჩა, კორინი, პიოვანი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, დიგნაციო, დი კარლო, ბიორკლუნდი, ვივიანი, ამერინი (ბელოტი 83), მ. როსი, მურჯიკა, მაინი, ამბროზეტი (ლომბარდინი 63)

გოლი: როსი (29)

გაფრთხილება: კორინი, დი ფრანჩესკო, პიოვანი, კორინი

გაძევება: დიგნაციო (88)



სინიორიმ და პროტიმ ორ-ორი გოლი გაიტანეს და ბომბარდირებში დაწინაურდნენ

### ატალანტა 1:2 ბარი

ატალანტა: ფერონი, როტელა (პიზანი 75), ა. პაგანინი (ლუპი 52), ერერა, ვალენტინი, ძანკი, სგრო (მორფეო 64), გალო, ტოვალიერი, ფორტუნატო, ვიერი

ბარი: ფონტანა, მანგონე (ბრიოსკი 67), მონტანარი, პარენტე (პ. ანონი 59), რიპა, მანიგეტი, ფიკინი (გაუტიერი 46), პედონე, ანდერსონი, ინგესონი, პროტი

გოლი: ვიერი (22 პ), პროტი (69, 77)

გაფრთხილება: გალო, ფორტუნატო, ერერა, ანონი, ინგესონი, მონტანარი

გაძევება: მანიგეტი (39)

### ინტერი 0:2 სამპდორია

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (პისტონე 58), კარლოსი, ძანეტი, ფესტა, მ. პაგანინი, გინეტი, ინსი, ფონტოლანი, ბ. კარბონე, განცი

სამპდორია: ძენგა, ბალერი, ევანი, ფრანჩესკეტი, მანინი (საკეტი 46), მიხაილოვიჩი, კარემბუ, ინვერნიცი, კიეზა, რ. მანჩინი (ფერი 88), სალსანო (ზეედორფი 77)

გოლი: კიეზა (43, 69 პ)

გაფრთხილება: კარემბუ

გაძევება: მიხაილოვიჩი (78)

### კალიარი 1:2 მილანი

კალიარი: აბატე, პანკარო (ბრესანი 82), პუშედუ, ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ვენტურინი, სილვა, ლანტინიოტი, ოლივეირა

მილანი: ს. როსი, ტასოტი, პანუჩი, ალბერტინი, კოსტაკურტა, მალდინი, ერანიო, დესაი, სიმონე (დი კანიო 64), სავიჩევიჩი, რ. ბაჯო (ფ. გალი 80)

გოლი: ნაპოლი (30, საკ. კარში), ვილა (32), სილვა (79, საკ. კარში)

გაფრთხილება: ოლივეირა, პანკარო, სავიჩევიჩი, პანუჩი, ტასოტი

### პარმა 2:0 კრემონეზე

პარმა: ბუჩი, მუსი, ბენარივო (დი კიარა 74), მინოტი (კასტელინი 68), აპოლონი, კანავარო, ბრამბილა, დ. ბაჯო, პირო (ინძაგი 75), ძოლა, სენსინი

კრემონეზე: ტურჩი, ბასანი, ან. ორლანდო, ჯანდებიაჯი, დალ ინია, ვერდელი, პეტრაკი (კრისტიანი 58), პეროვიჩი, ფლორიანჩიჩი (ალოიზი 58), მასპერო, ტენტონი

გოლი: მუსი (56), ძოლა (94)

გაფრთხილება: კანავარო, ბაჯო, ინძაგი, ვერდელი

გაძევება: პეროვიჩი (51)

### ნაპოლი 1:0 ტორინო

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი, ტარანტინო (პოლიკანო 73), პარი, აიალა, კოლონეზე, იმბრიანი (დი ნაპოლი 82), ბოლოსიანი (რ. ლონგო 70), აგოსტინი, პიცი, პეკია

ტორინო: კანიატო (ბიატო 20), ფ[illegible]კონე, მილანეზე, ს[illegible]ოლიანო (მ. ლონგო 72), მალტალიატი, მეცანო, ანგლომა, ბერნანდინი, [illegible] ჩი

გოლი: ბოლოსიანი (30)

გაფრთხილება: [illegible]

გაძევება: [illegible] (80)

### პადოვა 1:2 რომა

პადოვა: ბონაიუტი, კოპოლა (ვან უტრეხტი 60), გაბრიელი, სერაო, ჯამპიეტრო, როზა, კრეეკი, ნუნციატა, ამორუზო, ლონგი (ფიორე 68), ვლაოვიჩი

რომა: ჩერვონე, ე. ანონი, კარბონი, სტატუტო, ალდაირი, ლანა, მორიერო (სკარჩილი 90), დი ბიაჯო (კაპიოლი 77), ფონსეკა, ჯანინი, დელვეკიო (ტერნი 46)

გოლი: ფონსეკა (I ტაიმის 47-ე), კაპიოლი (82), ვლაოვიჩი (83)

გაფრთხილება: სერაო, მორიერო, ალდაირი

### იუვენტუსი 2:1 უდინეზე

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, პესოტო, ა. კონტე, პორინი (პაულუ სოუზა 30), ტორიჩელი, დი ლივიო, დეშამპი, ვიალი (პადოვანო 67), დელ პიერო (ვერხოვოდი 75), რავანელი

უდინეზე: ბატისტინი, პელეგრინი (ამეტრანო 68), ბერტოტო, პელვეგი, კალორი, მატრეკანო, ბირპოფი, სტრომპა (პოჯი 85), ჯანიკედა, როსიტო, დეზიდერი (შალიმოვი 63)

გოლი: სტრომპა (15), რავანელი (26), ვერხოვოდი (84)

გაფრთხილება: პორინი, პელეგრინი, დეშამპი, პელვეგი, როსიტო

გაძევება: ტორიჩელი (63)

### ბომბარდირები

სინიორი (ლაციო) — 20

პროტი (ბარი) — 20

ბატისტუტა (ფიორენტინა) — 18

კიეზა (სამპდორია) — 18

ბრანკა (ინტერი) — 15

ბირპოფი (უდინეზე) — 14

ოლივეირა (კალიარი) — 14

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 29 | 18 | 9 | 2 | 48:18 | 63 |
| იუვენტუსი | 29 | 17 | 6 | 6 | 51:27 | 57 |
| ფიორენტინა | 29 | 15 | 8 | 6 | 49:33 | 53 |
| პარმა | 29 | 13 | 10 | 6 | 38:26 | 49 |
| რომა | 29 | 13 | 9 | 7 | 39:28 | 48 |
| ინტერი | 29 | 13 | 8 | 8 | 39:25 | 47 |
| ლაციო | 29 | 13 | 7 | 9 | 55:33 | 46 |
| სამპდორია | 29 | 12 | 8 | 9 | 48:41 | 44 |
| ვიჩენცა | 29 | 12 | 8 | 9 | 31:30 | 44 |
| ნაპოლი | 29 | 8 | 11 | 10 | 24:34 | 35 |
| უდინეზე | 29 | 9 | 7 | 13 | 34:41 | 34 |
| კალიარი | 29 | 9 | 7 | 13 | 29:42 | 34 |
| ატალანტა | 29 | 9 | 6 | 14 | 31:45 | 33 |
| პიაჩენცა | 29 | 7 | 8 | 14 | 26:47 | 29 |
| კრემონეზე | 29 | 5 | 10 | 14 | 34:46 | 25 |
| ტორინო | 29 | 5 | 10 | 14 | 26:41 | 25 |
| ბარი | 29 | 6 | 7 | 16 | 40:60 | 25 |
| პადოვა | 29 | 6 | 3 | 20 | 35:60 | 21 |

## გერმანია

27-ე ტური. აინტრახტი — შტუტგარტი 2:2; კიოლნი — დორტმუნდი 0:0; კარლსრუე — მიუნხენი 1:1; შალკე — ლევერკუზენი 1:1; ჰანზა — ურდინგენი 1:0; ვერდერი — მიონხენგლადბახი 2:0; ბაიერნი — ზანქტ პაული 1:1; ჰამბურგი — ფრაიბურგი 0:0; ფორტუნა — კაიზერსლაუტერნი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 27 | 17 | 3 | 7 | 56:35 | 54 |
| დორტმუნდი | 26 | 15 | 8 | 3 | 61:27 | 53 |
| გლადბახი | 26 | 13 | 5 | 8 | 41:39 | 44 |
| შტუტგარტი | 27 | 9 | 12 | 6 | 52:49 | 39 |
| შალკე | 26 | 9 | 12 | 5 | 31:28 | 39 |
| ჰამბურგი | 26 | 8 | 11 | 7 | 37:38 | 35 |
| ფრაიბურგი | 27 | 9 | 8 | 10 | 24:30 | 35 |
| ჰანზა | 25 | 8 | 10 | 7 | 37:33 | 34 |
| მიუნხენი | 27 | 8 | 10 | 9 | 41:39 | 34 |
| კარლსრუე | 27 | 8 | 10 | 9 | 38:40 | 34 |
| ვერდერი | 27 | 7 | 13 | 7 | 28:31 | 34 |
| ზანქტ პაული | 27 | 8 | 9 | 10 | 37:41 | 33 |
| ლევერკუზენი | 26 | 7 | 11 | 8 | 30:25 | 32 |
| ფორტუნა | 27 | 6 | 12 | 9 | 29:42 | 30 |
| კიოლნი | 27 | 5 | 13 | 9 | 23:28 | 28 |
| აინტრახტი | 27 | 6 | 9 | 12 | 37:52 | 27 |
| კაიზერი | 26 | 4 | 13 | 9 | 22:32 | 25 |
| ურდინგენი | 27 | 2 | 11 | 14 | 24:43 | 17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ დააჯარიმა ბუქარესტის „დინამო". ეს გუნდი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის, მაგრამ მისი ქომაგები წესრიგის დაცვისგან მეტად შორს არიან. ბუქარესტის „ნაციონალთან" თამაშის დროს „დინამოს" ფანატიკოსებმა ჩხუბი ატეხეს და სტადიონზე 100-ზე მეტი სკამი დალეწეს. ამისთვის გუნდს ორი მატჩის შინ ჩატარება აუკრძალეს, „ნაციონალისთვის" 18 მილიონი ლეის, ანუ 6 500 დოლარის გადახდა დაავალეს და ცალკე 5 მილიონი ლეი ჯარიმაც გამოუწერეს.

კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა არად ჩააგდო მავანთა კიჟინა, გუნდი გაახალგაზრდავეო და 24 აპრილისთვის პარაგვაისთან სათამაშოდ ბევრი გვარდია გამოიძახა. მოახლოებული მატჩით კოლუმბია მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს იწყებს. გომესმა მოიხმო 34 წლის კარლოს ვალდერამა, რომელიც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საერთაშორისო კარიერის დამთავრებას აპირებდა და მხოლოდ კლუბში თამაშს ლამობდა. მიწვეულნი არიან ლეონელ ალვარესი, ფრედი რინკონი, რენე იგიტა და ფაუსტინო ასპრილია, რომელმაც ბოლივიის წინააღმდეგ კოლუმბიელთა ბოლო ამხანაგური მატჩი გააცდინა, რისთვისაც მოკვეთილი იყო.

შოტლანდიაში „რეინჯერსს" კინაღამ ფეხი დაუცდა. სტუმრად „ჰართსთან" ლიდერმა 0:2 წააგო. გლაზგოელებს გოლები გაუტანეს ნილ პოინტონმა და ალან ჯონსტონმა. ეს „რეინჯერსის" მესამე მარცხი იყო მიმდინარე სეზონში, აქედან ორი სწორედ „ჰართსთან" წააგო. მთავარი მტრის წაფორხილებით ვერ ისარგებლა „სელტიკმა", რომელმაც 1:1 ითამაშა „კილმარნოკთან". ის კი არა, „სელტიკი" აგებდა და რომ არა ჰოლანდიელი ზანგის, პიერ ვან ჰუიდონკის მიერ 89-ე წუთზე გატანილი გოლი, იმ ერთ ქულასაც ვერ მოიპოვებდა. ახლა „რეინჯერსი" 75 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა. „სელტიკი" მას ოთხით ჩამორჩება.

ბრაზილიის ქალაქ ბელემში, ამაზონის პირას რომ მდებარეობს, დიდი ჩხუბი ატყდა. ადგილობრივ „რემოს" თასის მერვედფინალის პირველი შეხვედრა სან-პაულუში, „კორინთიანსთან" 0:0 ჰქონდა ნათამაშევი, საპასუხოში კი 73-ე წუთზე მარცხენა მცველის ჟუნიორის გოლით 1:0-ს იგებდა. მსაჯმა მატჩი ზუსტად 90 წუთში არ დაასრულა, რამდენიმე წუთი დაამატა და 92-ზე კასტორმა ანგარიში გაქვითა. ამას მოჰყვა, რაც მოჰყვა. საფინალო სასტვენის შემდეგ ვიღაც გახელებული გულშემატკივარი მოედანზე გადახტა და არბიტრს კარატეს მაგვარი ილეთი ჩასცხო. ტრიბუნებიდან, სადაც 32 ათასი იჯდა, სხვადასხვა ნივთების სეტყვა წამოვიდა. მინდორზე გადახტნენ სხვებიც. პოლიციამ რის ვაივაგლახით შეძლო მსაჯთა და სხვა ოფიციალურ პირთა სტადიონიდან გაყვანა. მაყურებელი თავიდანვე საჩხუბრად იყო განწყობილი, რადგან შესვენებისას მავანთ გასახდელების ტერიტორიაზე შეაღწიეს და „კორინთიანსის" ოთახის კარის ჩამოტეხვა სცადეს.

უელსის ნაკრების მწვრთნელმა ბობი გოლდმა 24 აპრილისთვის, როდესაც მისი გუნდი ლუგანოში შვეიცარიას ამხანაგურს ეთამაშება, არ გამოიძახა ქართველებისაგან ორ შეხვედრაში ექვსჯერ გამწარებული, „ევერტონის" მეკარე ნევილ საუთჰოლი. გოლდი, ეტყობა, დიდ ცვლილებებს ისახავს მიზნად, რადგან მას არც იან რაში, მარკ ჰიუზი და დევიდ ფილიპსი მიუწვევია. ლუგანოში ვერ ჩავა რაინ გიგზიც: მას „მანჩესტერ იუნაიტედში" ჩემპიონობის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლები ელის. სამაგიეროდ გამოძახებულია „უიმბლდონის" ვინი ჯოუნზი, რომელიც კარდიფში ყაველაშვილთან უხეშობის შემდეგ, ოთხი თამაშით იყო დასჯილი.

არგენტინაში კლაუდიო კანიჯას ორი გოლით „ბოკა ხუნიორსმა" 2:1 დაამარცხა „ლანუსი" და ცხრილს სათავეში მოექცა. კანიჯამ პირველი გოლი, პირველ ტაიმში, თავურით გაიტანა. მეორეში „ლანუსმა" გაქვითა, მაგრამ „ბოკას" ფორვარდმა, 70-ე წუთზე, სამი მცველი მოატყუა და მახვილი კუთხიდან ეფექტურად შეაგდო. დღეს, „ბოკა ხუნიორსში", 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სამი ფეხბურთელი თამაშობს: კანიჯა, დიეგო მარადონა და ხოსე ბასუალდო. მათი თავშეყრა გუნდის ახალი მწვრთნელის კარლოს ბილარდოს დამსახურებაა. ბილარდო ხომ იმ, 1990 წლის ნაკრებს თავკაცობდა. ბოლო ტურში აღიარებულ ფავორიტთაგან გაიმარჯვა „რასინგმაც". მან პირველ ნახევარში რუბენ კაპრიას მიერ შეგდებული პენალტით სძლია „ბანფილდს". შინვე წააგო „სან ლორენცომ" — 1:3. მისი დამმარცხებელი „ხიმნასია", „ესტუდიანტესთან" ერთად, ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება.

ესპანეთში „სევილიას" ქომაგმა პოლიციელმა, რომელსაც ვერ მოენელებინა, რომ „რეალ ბეტისი" მის გუნდზე 15 ადგილით ზევითაა (ეს ორი გუნდი ოდითგან მტრობს ერთმანეთს) ოთხი საათით შეაყოვნა „ბეტისის" მწვრთნელი ლორენსო სერა ფერერი. საგზაო წესრიგის მცველი ფერერს მანქანის არასწორად გაჩერებაზე მოედავა. დაჩაგრული მწვრთნელის გუნდის მეპატრონემ მანუელ ლუის დე ლოპერამ ბოლო მატჩში „სანტანდერთან" საშინაო ფრე (2:2) ამ ინციდენტს გადააბრალა და თქვა, რომ „სევილიას" გულშემატკივრები „ბეტისის" 21 ქულიან უპირატესობას ვერ ეგუებიან. დე ლოპერამ „თაუნ ჰოლშიც" კი იჩივლა, მაგრამ პასუხად მიიღო, კანონი ყველასთვის კანონიაო. ამასთან დაკავშირებით მარადონამ გაიხსენა, რომ 1992-93 წლებში, როდესაც იგი „სევილიაში" თამაშობდა, სწრაფად მართვისთვის ორმა პოლიციელმა გააჩერა. ერთი, „სევილიას" ქომაგი მას კეთილად ეპყრობოდა, მეორე, „ბეტისისა" კი — მტრულად.

ალბანეთში ხანმოკლე ავადმყოფობამ შეიწირა 1985-90 წლებში ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი არგონ სულაი. სულაი 44 წლისა იყო. ბოლოს იგი ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა. 33 წლის რომ იყო, სულაი ალბანეთის ისტორიაში ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელი გახდა.

იტალიაში კრემონას მერმა პაოლო ბოდინიმ ბოდიშის წერილი გაუგზავნა „ინტერის" ინგლისელ ზანგ მოთამაშეს პოლ ინსს და კლუბის პრეზიდენტს მასიმო მორატის. მიზეზი: „კრემონეზე" — „ინტერის" შეხვედრის დროს მასპინძელთა გულშემატკივრები ინსს რასისტულად შეურაცხყოფდნენ. ინგლისელი ფერადკანიანი იტალიაში პირველ სეზონს ატარებს და მაინცდამაინც კმაყოფილი ვერაა. რასისტული „ხუმრობები" მას საკუთარი გუნდის ფანატიკოსებისგანაც მოუსმენია. ამიტომაც შესჩივლა იტალიელ ჟურნალისტებს, თქვენი ქვეყანა საფეხბურთო რასიზმითაა ავად და კონტროლი სჭირდებაო. „ჩემზე კი არა, მეტოქის ზანგ ფეხბურთელზე რომ გავიგო ასეთი რამ, ქომაგებს ვეტყვი, რომ ამით მეც მაყენებენ შეურაცხყოფას" — თქვა ინსმა.

შოტლანდიის უდიდესმა კლუბებმა „რეინჯერსმა" და „სელტიკმა" ერთი ამბავი ატეხეს. „იუვენტუსის" ფორვარდს ჯანლუკა ვიალის ჯერ სიტყვაც არ დაემთავრებინა, იტალიაში კონტრაქტის ვადა მითავდება და მომავალი სეზონიდან ბრიტანეთში მსურს თამაშიო, რომ ორივე გუნდის პრეზიდენტი შეეხმიანა. თანაც, ახლა, ბოსმანისშემდგომ ერაში შოტლანდიელებს „იუვესთვის" ფრომის გადახდაც არ მოუხდებათ. „რეინჯერსი" პირადად ვიალის 2,29 მილიონ დოლარს სთავაზობს. თუ იტალიელი „რეინჯერსში" გადავა, იგი მესამე იქნება პოლ გასკოინის და ბრიან ლაუდრუპის შემდეგ, იტალიის ლიგიდან ამ გუნდს რომ მიაშურა. შოტლანდიელთა გარდა ვიალის გადაბირება ინგლისურ „არსენალს" და „ჩელსისაც" სურთ.

იტალიაში მსოფლიოს, ევროპის და აფრიკის ამჟამად ხელმოტეხილმა საუკეთესო ფეხბურთელმა ჟორჟ ვეამ განაცხადა, რომ ძალიან განიცდის თავისი ნათესავებისა და მეგობრების ბედს, რომლებიც სამოქალაქო ომით მოცულ ლიბერიაში ცხოვრობენ და რომელთაც ბოლო დროს ხმა ვერაფრით მიაწვდინა. „იმედი მაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩემს სამშობლოში ჯარს გადასხამს" — ამბობს ვეა, რომელსაც განუზრახავს წერილით მიმართოს თანამემამულეთ და ეს წერილი ლიბერიის პრესაში გამოაქვეყნებინოს.

ინგლისში „ქოვენთრის" მცველს დევიდ ბასტს დაუდგინეს, რომ ორშაბათს, „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშის მეორე წუთზე, დენის ირვინთან შეჯახებისას მიღებული ტრავმის გამო ერთ წელიწადს ვერ ითამაშებს. ტრავმა შემზარავი ყოფილა. თავად მოთამაშეები შეძრწუნდნენ, მოედანზე მოსხმული სისხლი რომ იხილეს. 28 წლის ბასტს ორშაბათსვე სამსაათიანი ოპერაცია ჩაუტარეს. ძვალი ხორციდან იყო ამოჩრილი. მოთამაშეს მანჩესტერთან ახლომდებარე ჰელფორდის „ჰოუპ ჰოსპიტალში" მკურნალობენ.

ესპანეთში მადრიდის „რეალმა" დისციპლინარული სასამართლო წამოიწყო მიჩელის წინააღმდეგ, რომელმაც ქომაგების დაცინვა ვერ აიტანა და შეეპასუხა. ეს „რეალის" და „სანტანდერის" მატჩის დროს მოხდა. ვეტერანი, რომელიც მე-400 მატჩს თამაშობდა სამეფო კლუბში, ირონიული ტაშით შეეგება ხალხის უკმაყოფილებას. „რეალის" თავმჯდომარემ ლორენსო სანსმა მწვრთნელ არსენიო იგლესიასს სთხოვა, სეზონის ბოლომდე მიჩელი, ლუის ენრიკე, ივან სამორანო და მანოლო სანჩისი აღარ ათამაშოო.

## ანტიჩის პანტიჩის «სამეფო» გოლი

ესპანეთის თასის ფინალი

### ატლეტიკო 1:0 ბარსელონა

ატლეტიკო: მოლინა, ჯელი, ტონი, სოლოსაბალი, ვისკაინო (ბიაჯინი 75), პანტიჩი, სანტი, კამინერო, პენევი (ლოპესი 62), კიკო (რობერტო 85), სიმეონე

ბარსელონა: ბუსკეტი, სელადესი (ფერერი 16), ნადალი, გვარდიოლა, ამორი, პოპესკუ, ფიგუ (პროსინეჩკი 75), ბაკერო (როჯერი 62), სერხი, კრუიფი, პაჯი

გოლი: პანტიჩი (102)

გაფრთხილება: ბაკერო, სანტი, სერხი, ტონი, პაჯი, ნადალი, როჯერი, მოლინა, სოლოსაბალი, რიკარდო („ატლეტიკოს" სათადარიგო მოთამაშე), პანტიჩი

გაძევება: სოლოსაბალი, სერხი

მსაჯი: რამონ დიას ვეგა

„სამეფო თასის" ფინალს, როგორც ყოველთვის, მეფე ხუან კარლოსი ესწრებოდა. მისმა უდიდებულესობამ 120-წუთიანი, უმძიმესი მატჩის შემდეგ, ტრადიციისავე თანახმად, პირადად გადასცა გამარჯვებულებს ჯილდო. მეფეს, ბუნებრივია, ამალაც ახლდა. ამალაში მინისტრები და სხვა წარჩინებულნი იყვნენ. შარშანდელისგან განსხვავებით თამაშს არ ესწრებოდა დედოფალი სოფია.

უკვე ვახსენეთ, რომ თამაში 120 წუთს გაგრძელდა, ანუ ძირითადი დრო უგოლოდ გაილია და გამარჯვებული დამატებითში გაირკვა. ტემპს ნუ იკითხავთ: პირველი წამიდან მსაჯის ბოლო ჩასტვენამდე ფეხბურთელები დაქროდნენ. ამ შეხვედრის მონაწილეებმა ალბათ იმდენი გაირბინეს, საქართველოს სამ-ოთხ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში რომ გაიძუნძულებენ ხოლმე. ჯაფა ადგა მაყურებელსაც. მთელი დროის მანძილზე ნაირფერი დროშებით შეიარაღებული პუბლიკა დახტოდა და ხმაურობდა.

„ატლეტიკო" და „ბარსელონა" მიმდინარე სეზონის მთავარი გმირები არიან. ჩემპიონატში „ატლეტიკო" 11 ქულით უსწრებდა მდევარს, მაგრამ ნელ-ნელა ეს უპირატესობა სამ ქულამდე შემოადნა და ახლა საკითხავია ვინ გახდება ჩემპიონი, იგი თუ „ბარსა". აგერ თასის ფინალშიც ეს გუნდები შეიყარნენ. ისინი ხვალ არა და მომდევნო შაბათსაც შეიბმებიან კატალონიის დედაქალაქში. ეს უკვე პირველობის საბედისწერო ორთაბრძოლა იქნება. ამგვარად, ოთხშაბათს ესპანეთში დაიწყო კულმინაციური ათდღიანი მონაკვეთი, რომელიც მეტადრე „ბარსელონასთვის" იქნება ძნელი, რადგან მომავალ ოთხშაბათს მას უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩიც ელის „ბაიერნთან".

უავგუსტესი პერსონის თანდასწრებით „ატლეტიკო" და „ბარსელონა" უშელავათოდ ეკვეთნენ ერთმანეთს. პირველ ტაიმში კატალონიელებს უფრო მწვავე მომენტები ჰქონდათ, თუმც დაჟინება მადრიდელებს ოდნავ მეტი ჰქონდათ. იოჰან კრუიფმა, რომელმაც არც ეს დღე გააცდინა და მეოთხე მსაჯთან კამათი გაჩაღა, მარჯვენა მცველი სელადესი იმავე ამპლუის ფერერით მე-17 წუთზევე შეცვალა. როგორც ჩანს, ამ ფრთიდან რაღაც ავი იგრძნო. მისი გუნდიდან გამოირჩეოდნენ ცენტრალური მცველი ნადალი და პაჯი-ფიგუს დუეტი. რადომირ ანტიჩის ხელქვეითთაგან კი სიმეონე, კიკო და მეკარე მოლინა უფრო ჩვდებოდა თვალში.

მეორე ნახევარში პრინციპულად არაფერი შეცვლილა. ეგ იყო, რომ დაღლილობის ნაცვლად მხარეები მეტი გამძაფრებით ამოქმედდნენ. გააქტიურდა პანტიჩი, რომელიც ხშირად გაძვრებოდა ბარსელონელთა საჯარიმოს მისადგომებთან და ჩაჰკიდებდა ხოლმე. ვალში არც მეტოქე რჩებოდა. ერთ ეპიზოდში პროსინეჩკი-პაჯი-სერხი-ჯორდის კომბინაცია უმცროსი კრუიფის თაურით და ბურთის ხარიხიდან ასხლეტით დასრულდა. შემდეგ პოპესკუმ ბუსკეტს ხელი შეუშალა, რითაც კამინეროს კინაღამ გაატანინა, მაგრამ ბოლო წამს ბურთის კუთხურზე გადაგდება მოასწრო.

საინტერესო იყო დამატებითი დროც. მოლინა, მუდმივად წინ, ცენტრალური მცველის ადგილას რომ გადიოდა, ერთხელაც აჩქარდა. პაჯიმ თავზე გადაუგდო, მაგრამ ბურთი ზეცისკენ გაფრინდა, კარისკენ კი არა, ხოლო საჯარიმოში დაშვებული სოლოსაბალმა მოიცილა.

შემდეგ კი დადგა გიჟური თამაშის 102-ე, საბედისწერო წუთი. მარჯვნიდან „ატლეტიკოს" სწრაფი კომბინაცია ჯელის ჩაწოდებით და პანტიჩის ზუსტი თაურით დასრულდა.

ბოლოს, კამინერო შევიდა პირისპირ, მაგრამ ბუსკეტმა მოიგერია... მოედანზე კურდღელი გამოვარდა... მსაჯმა სოლოსაბალი და სერხი გააძევა... თამაში დამთავრდა და „ატლეტიკოს" შერეკი, მა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა გაიღიმა.

## რუსეთი

### კრილია 1:0 ცსკა

მინაშვილი (კრილია) — 6,0; შეცვალეს 66-ე წუთზე

წიკლაური (85-ე წუთზე გამოვიდა შეცვლაზე) — შეუფასებელი

„კრილიას" კარგი თამაში, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სამარელთა მწვრთნელის, ავერიანოვის დამსახურებაა. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი მწვრთნელს მივაწეროთ და ღვაწლი არ დავუფასოთ ფეხბურთელსაც. 33 წლის გუნდის კაპიტანი გარნიკ ავალიანი აღიარებული ავტორიტეტია გუნდში. სეზონის დასაწყისში მან განაცხადა: „ჩვენ არაფრით ვართ სხვებზე უარესი და ამას დავამტკიცებთ". ავალიანისა, ეტყობა ყველამ ირწმუნა, მათ შორის პარტნიორმა თავდასხმაში მამუკა მინაშვილმა: „თუ ადრე ქართველი ფორვარდი თითქმის ყველა შეხებისას ეცემოდა, ახლა მყარად დგას მიწაზე და შეუპოვარი მებრძოლიც გახდა".

### როსტსელმაში 1:2 ალანია

დევაძე (როსტსელმაში) — 5,5

შელია — 6,0; 46-ე წთ-ზე შეცვალა რევიშვილმა — 6,0

„პირველი სახიფათო მომენტი როსტოველთა კართან შეიქმნა. დევაძემ ვერ გარისკა გამოსვლა და შელიამ თავით გაგზავნა ბურთი კარისკენ. მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი".

### კამაზი 0:0 ლოკომოტივი

ჯიშკარიანი (კამაზი) — 6,0

გაბისკირია (კამაზი, 74-ე წუთზე შემოვიდა) — 6,0

ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი) — 6,0

„მე-13 წუთზე კოლოსაპოვის შეცდომით ისარგებლა ჯიშკარიანმა, გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და საჯარიმოში ჩაწოდა. ევდოკიმოვი ბურთს ასცდა".

„შემდეგი შეტევისას ჯიშკარიანმა კინაღამ არ გახსნა ანგარიში — ახლო კუთხეში დაარტყა".

„შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. ყველაზე მეტი მცველთაგან ჩვდებოდა ჯანაშიას, რომელიც, ჩემის აზრით, თანდათან უკეთ თამაშობს. მას იუგრინი ისე ეუხეშა, რომ ნამდვილად იმსახურებდა მოედნიდან გაძევებას".

„46-ე წუთზე ჯიშკარიანის გარღვევა მისი მოცელვით დამთავრდა. ჯარიმას, რომელიც 17 მეტრიდან შეასრულა ვარლამოვმა, შედეგი არ მოჰყოლია".

„რამდენიმე წუთის შემდეგ ჯანაშიამ შუა მოედანში ეფექტურად მოატყუა ივლიევი, მაგრამ, რატომღაც, საჯარიმოს გარედან დარტყმა გადაწყვიტა, თუმცა შეეძლო ელიშევისათვის გადაეწოდებინა".

„ოგანესიანმა გადააწოდა ჯანაშიას, რომელმაც ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა".

მატჩის შემდეგ „კამაზის" მწვრთნელმა ჩეტვერიკმა თავისი გუნდიდან ჯიშკარიანი გამოარჩია.

### ზენიტი 2:0 ჟემჩუჟინა

დათო ჯანაშია (ჟემჩუჟინა) — 4,5

იონანიძე (ჟემჩუჟინა) — 4,0

„ზურაბ იონანიძე საერთოდ არ ჩანდა მთელ მატჩში."

### ნოვგოროდი 1:0 ლადა

სეფაშვილი (ლადა) — 5,5

„სეფაშვილი — ბახარევის ორსვლიანი კომბინაცია საჯარიმოს ხაზიდან დარტყმით დამთავრდა. ბურთი კარს ასცდა".

„სპორტ-ექსპრესიდან"

ამ კვირას დაიწყო თამაშები რუსეთის პირველ ლიგაში, სადაც რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. როგორც გაზეთი წერს, ხუნდაძემ სტავროპოლის „დინამოს" შემადგენლობაში იჟევსკის „გაზოვიკის" წინააღმდეგ ცუდად ითამაშა და იგი 56-ე წუთზე შეცვალეს. „დინამომ" წააგო 0:1.

ნახოდკის „ოკეანეში" თამაშობენ წიქარიშვილი და ფორჩხიძე. წიქარიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს. ფორჩხიძე 56-ე წუთზე გამოვიდა მოედანზე. სხვათა შორის, „ოკეანის" მეტოქე რამენსკოეს „სატურნის" შემადგენლობაში ითამაშა და საკმაოდ კარგადაც თბილისის „დინამოს" ყოფილმა თავდამსხმელმა გურამ აჯოევმა. „სატურნმა" მოიგო — 3:0.

ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში" ელისტის „ურალანის" წინააღმდეგ ითამაშა ნაჭყებიამ. გუნდის მიერ შექმნილი სამად-სამი სახიფათო მომენტიდან ერთი მისი დამსახურება იყო. ნაჭყებიას გუნდმაც წააგო 1:3. ირკუტსკის „ზვეზდა", რომელშიც პაიკიძე გამოდის, დამარცხდა მაიკოპის „დრუჟბასთან" — 0:3.




## წერილი ჩვეულებრივ ამერიკელს

### მათი ლიგის გახსნის გამო

გამარჯობა, ძვირფასო ჩვეულებრივო ამერიკელო,

შენ, რომელიც ისე ალიზარდე შენს კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში, რომ ხელში ან ბეისბოლის ტაფელა გეპყრა, ან კალათბურთის ნარინჯისფერი ბურთი გეჭირა, ან თქვენებური ფეხბურთის ჩაფხუტი გეხურა თავზე;

ახლა კი დისტანციური მართვის პულტი ჩაგიბღუჯავს და ორასარხიან ტელევიზორში სპორტის საყვარელ, თუ ნაცნობ სახეობას ეძებ.

გთხოვ, გადართე ფეხბურთზე, მითუმეტეს, რომ ამის საშუალება უკვე გაქვს. დაიწყო შენი ლიგის თამაშები.

როდესაც შაბათ-კვირას შენი ოჯახობის გართობას გადაწყვეტ — იყიდი პოპკორნს, ორ ბოცა კოკა-კოლას, მრავალ ჰამბურგერს, ჩიზბურგერს, ვეჯიბურგერს და ასიოდ კოლოფ პიცას, რათა ეს ყველაფერი ბეისბოლის მატჩის მსვლელობისას მიირთვა სტადიონზე, დაფიქრდი!

ერთხელ, ერთხელ მაინც (ნუ, პირდაპირ ძალიან გთხოვ) წაასხი შვილები იმ სტადიონზე, სადაც ფეხბურთს თამაშობენ. არ დაიწუნო ფეხბურთი მხოლოდ იმიტომ, რომ მას ერთადერთი შესვენება აქვს, რომ იმდენი ბურთი არ გადის, რამდენიც სხვაგან, რომ შენს მიერ ნაყიდი ხორაგეულის შეჭმა შეიძლება ვერც მოასწრო, რომ არ არის წუთშესვენებები და არ იცი არცერთი ფეხბურთელის გვარი.

ეგებ მიეჩვიო და თანაც მიხვდე, რომ ბურთის გორების ეს სახეობა სულ სხვა რამ არის, ვიდრე მხოლოდ თამაში და სპორტი და ამიტომაც გადარეულა მთელი მსოფლიო.

განა არ ვიცი? ლათინურფესვიან ამერიკელებს ფეხბურთი არ ესწავლებათ და ამ ახალ ლიგაშიც უამრავი ლათინო თამაშობს. აგე, სან-ხოსეშიც ხომ გაიჭედა სტადიონი, მაგრამ შენ, ვთქვათ ბლუმინგტონელო ამერიკელო არ იცი, რა არის ფეხბურთი. ბლუმინგტონის ტევადობის ქალაქს კი ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში, თუნდ აზიაში და ჯანდაბას, აფრიკაშიც ბარე ოცი სხვადასხვა დონის და ასაკის გუნდი ჰყავს.

ფეხბურთი იქ სახალხო რამ არის. და მოგახსენებთ: ფეხბურთს არ სჭირდება ტაფელა, არც ჩაფხუტი და ყვანჯი, არც კალათი და მითუმეტეს არც ორმეტრიანი სიმაღლე. ფეხბურთს ყოფნის ოთხი აგური და ბურთი.

განა არ ვიცი, თქვენს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ფეხბურთის სექციებიც არსებობს. ერთი იქ ნასწავლი თბილისელი ბიჭი მიამბობდა: მითხრეს სპორტის რომელიმე სექციაში უნდა ჩაეწეროო (ჩვენებური ფიზკულტურა). სია რომ ვნახე, ფეხბურთი ავირჩიე, იოლად ჩავთვლი, რაც მე ბურთი მიგორებიაო.

ვარჯიშებზე რომ მისულა, თურმე იქ თავმოყრილი ბიჭები დარტყმას სწავლობდნენ. ამასაც აუღია და „ბაჩოკით" უგლეჯია. მწვრთნელს უთქვამს, ეგრე დარტყმის უფლება არავის მოუცია, ჭვინტით (ნასოკი) დარტყმას ვსწავლობთო. ჩვენებურს კი უპასუხია, ეგ დარტყმა სასირცხვილოა. თუკი სხვა გამოსავალი არ გაქვს, და მომენტი თუ არ მოითხოვს, არ უნდა შესრულოო.

მწვრთნელს უშველებელი წიგნი მიუცია, აი, ამის მიხედვით უნდა ვისწავლოთ ფეხბურთიო. შენ კიდევ, ჯერ აქედან შეისწავლე დარტყმების რაობა და შემდეგ დაგიშვებ ვარჯიშზეო.

შედეგი ის იყო, რომ ეს ჩემი ნაცნობი ცურვაზე გადავიდა.

ძვირფასო, ჩვეულებრივო ამერიკელო, წიგნით ფეხბურთს ვერ ისწავლი. თუ ისწავლი და უხეიროდ გამოვა. ფეხბურთი ჯერ ჯიგარში უნდა მოგხვდეს. ამიტომ, თუ შენ არ მიგიწევს გული, შვილები მაინც გაუშვი სტადიონზე.

ამერიკაში იყო ლიგა, იქ თამაშობდნენ პელე, ბეკენბაუერი, კრუიფი, კინალია და სხვანი. სტადიონები სავსე იყო, მაგრამ ლიგა დაიხურა. იმიტომ, რომ ფეხბურთი სულს ისე ვერ გაეკარა, როგორც საჭიროა.

ახლაც გაიხსნა ლიგა — შეუშვით ფეხბურთი ჯიგარში,

სირცხვილია ბოლოსდაბოლოს.

## ძიუდო

# დგებუაძე ოლიმპიელია!

## ლობჟანიძეს შანსი აქვს

Atlanta 1996

ვლადიმერ დგებუაძემ წარმატებით იჭიდავა ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ ბოლო ტურნირში და მისი მოგებით ოლიმპიადის ლიცენზია გაინაღდა.

ეს ტურნირი ჰოლანდიის ქალაქ ჰერცოგენბოსში გაიმართა. ლადომ 71 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა. ფინალამდე მან ყველა მეტოქეს წმინდად მოუგო. მისი მსხვერპლნი ისლანდიელი კრისტიანსონი, უნგრელი ილიეში, სლოვაკი ტომნეკი და რუსი მაკაროვი შეიქნენ. ფინალში დგებუაძემ ტრადიცია დაარღვია და „მხოლოდ" იუკოთი მოუგო პორტუგალიელ ბენტეშს. ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებზე ადრე აღებულ ორ „ბრინჯაოს" ლადომ ჰერცოგენბოსის „ოქრო" დაუმატა და ლიცენზიისათვის აუცილებელი ქულათა მარაგიც გაინაღდა.

ამავე ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა მევლუდ ლობჟანიძემ (95 კგ.). თავიდან იგი დამარცხდა რუმინელ რადუსთან. შემდეგ კი სამი შეხვედრა წმინდად მოიგო, ერთიც — მსაჯთა გადაწყვეტილებით. ამით ლობჟანიძეს ოლიმპიადის ლიცენზიის მიღების შანსი გაუჩნდა. ამისთვის მან ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით უნდა იასპარეზოს და მიმდინარე კლასიფიკაციაში მასზე წინ მდგომ ძიუდოისტებზე კარგი შედეგი აჩვენოს. ევროპის ჩემპიონატი 16-19 მაისს გაიმართება ჰოლანდიის დედაქალაქ ჰააგაში. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შედეგების მიუხედავად, ქართველებს შვიდიდან ექვს წონაში ოლიმპიური ლიცენზიები მოპოვებული აქვთ. უიღბლო გამონაკლისი 95 კგ-ია.

სხვა წონებში ჰერცოგენბოსის ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: იონ კუნ პარკი (კორეა), პეტერ შლატერი (გერმანია), ირაკლი უზნაძე (თურქეთი), დარსელ იანძი (საფრანგეთი), აურელიო მიგელი (ბრაზილია), დანი ებერსი (ჰოლანდია).

ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის წინ ორ შეკრებას გამართავს.

## კრივი

# გაინაღდეს და გაილაღეს

მართლაც საარაკო ამბავი მოხდა ვაილეში ევროპის 31-ე ჩემპიონატზე კრივში. მეოთხედფინალში გასული ჩვენი ხუთი მოკრივედან ხუთივე დამარცხდა! აბა რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, თუ არა ქართული ხასიათი: ლიცენზიების მოპოვებამ მოკრივეები ერთობ დაამშვიდა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში კობა გოგოლაძემ ორი ბრძოლა მოგების შემდეგ 8:10 დათმო ბულგარელ ტონჩევთან. სიტყვამ მოიტანა და, ამ ჩემპიონატზე ბულგარელებმა ექვსი მედალი მოიპოვეს, მაგრამ რაკილა კრივის საერთაშორისო ფედერაციას ბულგარელი თავკაცობს, იმ ექვსიდან ნახევარი მაინც ამის სინდისზეა, უფრო სწორად, უსინდისობაზე. ერთადერთი, ფინალში არ ყოფილა ჩაწყობა, თორემ მანამდე, ვისაც რა უნდოდა, იმას შვრებოდა. მსოფლიო სამოყვარულო კრივის მამები თვითნებურად ცვლიდნენ ჩემპიონატის დებულებას და არანაირ სიბინძურეს არ ერიდებოდნენ. მათ, თურმე, ლამის ძალით წაურთმევიათ ჩვენებური გარუსებული გვასალიასათვის ოლიმპიადის ლიცენზია, ფალიანს კი ვერაფერი მოუხერხეს. ამან ფინალში სწორედ ბულგარელ ტოდოროვს აჯობა 3:2. ამ წონაში (57 კგ) ფოთელმა გოჩა რუხაძემ სწორედ ფალიანთან წააგო. ბესიკ ვარძელაშვილმა (63,5) ერთი ბრძოლა მოიგო, მეოთხედფინალში კი დამარცხდა, თუმცა ურიგოდ არ გამოიყურებოდა და ლიცენზიაც მოიპოვა. 67 კგ-ში ქუთაისელმა თენგიზ მესხაძემ ორი ბრძოლა მოიგო, მაგრამ გადანიელებულ თათართან, ალ ჰასანისთან მაინც დამარცხდა 2:6. შავგვრემან ჰასანის თურმე ისე ქომაგობდნენ დანიელები, თითქოს მისი მამა-პაპა იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ყოფილიყო გაზრდილ-დაბადებული. 71 კგ-ში ილია ტლაშაძემ პირველი მოგების შემდეგ ჩეხ პოლაკოვიჩთან წააგო, მაგრამ ჩემპიონატის დებულებით მაინც რჩებოდა ლიცენზიის შანსი, თუკი პოლაკოვიჩი ჩემპიონი გახდებოდა. სამოყვარულო კრივის მამებმა კი, არიქა, ამ დებულებამ ჩვენს თანამემამულეებს ადგილები არ დააკარგვინოსო და... იგი შეცვალეს, კენჭისყრა მოაწყვეს მეოთხედფინალში დამარცხებულ მოკრივეთა შორის და რომელ ორ მოკრივესაც კენჭისყრით „ამოიღებდნენ", დარჩენილი ლიცენზიისთვისაც ეს ორი იჩხუბებდა. აბა ამის მერე რაღა საკითხავია, რომ ტლაშაძის წონაში კენჭისყრამ ლიცენზიის მოსაპოვებლად სხვა მოკრივეები დაასახელა...

75 კგ-ში აკაკი კაკაურიძემ ორი ბრძოლა მოიგო და რუს ლებზიაკთან 4:13 წააგო. აკაკის ლიცენზია ერგო, ლებზიაკმა კი ბრინჯაო მოიპოვა.

81 კგ-ში ფოთელმა ზაზა ოჩიგავამ თავიდანვე წააგო და ბრძოლას გამოეთიშა.

ყველა იმედით ველოდით 91 კილოგრამში გიორგი კანდელაკის გამოსვლას. კანდელაკმა ორი ბრძოლა კი მოიგო და ლიცენზიაც მოიპოვა, მაგრამ მერე კრისტოფ მენდისთან (ვისაც ამისწინათ ბულგარეთში 3:0 უგებდა და პირველი რაუნდის მერე თავი მოახსნევინა) 2:7 წააგო. ნაკრების ხელმძღვანელთა თქმით, კანდელაკი ფიზიკური მომზადებაში აშკარად მოიკოჭლებდა.

მოკლედ, ერთი შეხედვით, რვა მოკრივით ხუთი ლიცენზიის მოპოვება ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ განა შეიძლება ასე წყალს გაატანო ყველაფერი?

ჩვენს ნაკრებს ატლანტის ოლიმპიადამდე თურქეთის, ფინეთის, რუმინეთის და რუსეთის (ირკუტსკის) შეჯიბრებებიდან მოუვიდათ მოწვევა, მაგრამ როგორც კრივის ფედერაციაში გვითხრეს, რეალურია მხოლოდ თურქეთში გამგზავრება. ეს ტურნირი 15-20 მაისს სტამბოლში გაიმართება.

ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიადის ოთხ ლიცენზიას გეგმავდა, ხუთი კი მოიპოვა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როლანდ კვაჭაძემ გვითხრა, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ოლიმპიადაზე ორი მედლისთვის ბრძოლას აქვს აზრი. კრივის ფედერაციაში კი გვითხრეს, რომ ოლიმპიადაზე გამორიცხულია მოხდეს ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტები და მიკერძოება, როგორიც დანიაში მოხდა. ასე რომ, იმედია, ჩვენს მოკრივეებს ხელს ვერავინ შეუშლის, ოლიმპიადაზე ძალა და ნიჭი სრულად გამოავლინონ. მოკლედ, წიწილები ოლიმპიადაზე დავითვალოთ.

კრივის ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები

48 კგ. 1. დანიელ პეტროვი (ბულგარეთი), 2. ოლეგ კირიუხინი (უკრაინა), 3. რაფაელ ლოსანო (ესპანეთი) და საბინ ბორნეი (რუმინეთი)

51 კგ. 1. ალბერტ პაკეევი (რუსეთი), 2. იულიან სტროგოვი (ბულგარეთი), 3. სერგეი კოვგანკო (უკრაინა) და კელი დამენი (ირლანდია)

54 კგ. 1. იშტვან კოვაჩი (უნგრეთი), 2. რაიმკულ მალაჰბეკოვი (რუსეთი), 3. ჯონ ლარბი (შვედეთი) და ალექსანდრ ხრისტოვი (ბულგარეთი)

57 კგ. 1. რამაზ ფალიანი (რუსეთი), 2. სერაფიმ ტოდოროვი (ბულგარეთი), 3. დევიდ ბურკი (ინგლისი) და სკოტ პარისონი (შოტლანდია)

60 კგ. 1. ლეონარდ დოროფტეი (რუმინეთი), 2. ტონჩო ტონჩევი (ბულგარეთი), 3. კრისტიან ჯანტომასი (იტალია) და ვაჰედინ ისეჯერი (თურქეთი)

63,5 კგ. 1. ოქთაი ურქალი (გერმანია), 2. ნურჰან სულეიმანოღლუ (თურქეთი), 3. რადოსლავ სუსლიკოვი (ბულგარეთი) და სერგეი ბიკოვსკი (ბელარუსი)

67 კგ. 1. ალ ჰასანი (დანია), 2. მარინ სიმეონი (რუმინეთი), 3. ოლეგ საიტოვი (რუსეთი) და სერგეი ძინძირიუკი (უკრაინა)

71 კგ. 1. ფრანსის ვასტაგი (რუმინეთი), 2. მარკუს ბაიერი (გერმანია), 3. პაველ პოლაკოვიჩი (ჩეხეთი) და დიერდ მიჟეი (უნგრეთი)

75 კგ. 1. სვენ ოტკე (გერმანია), 2. ზოლტან ერდეი (უნგრეთი), 3. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი) და ჟან-პოლ მენდი (საფრანგეთი)

81 კგ. 1. პიეტრო აურინო (იტალია), 2. ჟან-ლუი მანდეგიუ (საფრანგეთი), 3. იუსუფ ოზთურქი (თურქეთი) და დმიტრი ვიბორნოვი (რუსეთი)

91 კგ. 1. ლუან კრასნიკი (გერმანია), 2. კრისტოფ მენდი (საფრანგეთი), 3. ვოიცეხ ბარტნიკი (პოლონეთი) და კვამენა თურქსონი (შვედეთი)

მძიმე. 1. ალექსეი ლეზინი (რუსეთი), 2. ვლადიმერ კლიჩკო (უკრაინა), 3. ატილა ლევინი (შვედეთი) და რენე მონსე (გერმანია)

ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიები ქვეყნების მიხედვით ასე განაწილდა:

რუსეთი 9, გერმანია 8, თურქეთი 8, საფრანგეთი 7, უკრაინა 7, ბულგარეთი 6, რუმინეთი 6, შვედეთი 6, ბელარუსი 5, იტალია 5, საქართველო 5, დანია 4, სომხეთი 4, უნგრეთი 4, ჩეხეთი 4, ირლანდია 3, პოლონეთი 3, აზერბაიჯანი 2, ლიტვა 2, მოლდოვა 2, საბერძნეთი 2, სლოვაკეთი 2, დიდი ბრიტანეთი 1, ესპანეთი 1, ისრაელი 1, ნორვეგია 1, ხორვატია 1

## კალათბურთი

### ევროპის საკლუბო ჩემპიონატის „ოთხთა ფინალი". პარიზი

FINALE 4 PARIS 96

# ორივეგან ათი ქულით

9 აპრილი.
ნახევარფინალები

### პანათინაიკოსი — ცსკა 81:71

პანათინაიკოსი: იანაკისი, ალვერტისი (13), ვილკინსი (35), ეკონომუ (8), ვრანკოვიჩი (8); ვურცუმისი (2), კორფასი (8), სტავრაკოპულოსი (7), პეცარსკი

ცსკა: ვეტრა (8), კარასიოვი (23), პანოვი (7), კისურინი (7), ნვოსუ (12); კუდელინი (7), კორნევი (4), მორგუნოვი (3), ვადეევი

მსაჯები: დორიზონი (საფრანგეთი), რემსი (სლოვენია)

ევროპას მრავლად უნახავს NBA-ს სკოლაგამოვლილი კალათბურთელები — ბებრებიცა და ჯეელებიც. ყველა მათგანს ეტყობოდა ოკეანისგაღმური სტილი, ზოგს მეტად, ზოგსაც ნაკლებად. ამათ შორის იყვნენ ნაკლებსახელოვანი მოთამაშეებიც, თუმცა მაინც ექს-პროფები და, თავისთავად, მაგრები. იყვნენ ვარსკვლავებიც, თუნდაც სპენსერ ჰეივუდი და ბობ მაკადუ, ვისი სახელის გაგონებაზეც კალათბურთის ქომაგმა მოწიწებით ქუდი უნდა მოიხადოს.

დომინიკ ვილკინსის ხსენებისას თავის დაკვრაც არ იქნება ზედმეტი. 36 წლის ვარსკვლავი ვინც იყო, თბილისელები ამ 8 წლის წინათ სპორტის სასახლეში დავრწმუნდით „ატლანტა ჰოქსის" სტუმრობისას. ვგონებ, კალათბურთში ელემენტი არ არსებობს, რომელსაც დომინიკი სრულყოფილად თუ არა, კარგად მაინც არ ფლობდეს. ევროპელ კალათბურთელთა დღევანდელი ალმოჩენები მისთვის ღრმა წარსულია. მისთვის არც ისაა უცხო, მეტოქე გუნდს მარტომ მოუგოს, ისევე, როგორც ამ მატჩში მოხდა.

თუ რაოდენ ეფექტურია დომინიკის თამაში, უკვე აღვნიშნეთ. ასეთივეა მის მიერ გადამწყვეტ მომენტებში ჩადენილი საქციელი. მაგალითად, ტაიმი ფრედ მთავრდებოდა, ვილკინსმა ბურთი მოხსნა, ნახტომი კი იქამდე დააყოვნა, სანამ ტლანქი მორგუნოვი უხეშად არ ეთამაშა. ამ დროს ბურთი უკვე კალათში იყო, ამას ექს-პროფმა ერთი საჯარიმოც დაუმატა. მორგუნოვამდე კი ცსკა-ს საუკეთესო მცველი, მისი მეურვე სერგეი პანოვი გაამწარა — მე-19 წუთზე მეოთხე პერსონალური მიაღებინა და, ფაქტიურად, თამაშიდანაც გამოთიშა. ამან მეორე ტაიმში გამოიღო შედეგი, თუმცა იქამდეც მივალთ...

ვილკინსის გარდა ბერძნებს კიდევ ერთი ექს-პროფი, ხორვატი სტოიან ვრანკოვიჩი ჰყავდათ. 217-სანტიმეტრიანი ცენტრი თავის ფარქვეშ ნაღდი საფრთხობელასავით აფრთხობდა მეტოქის ტანმაღალ მოთამაშეებს. კისურინს ორი დაფარებით სროლის ხალისი დაუკარგა, ხოლო ნიგერიელ ნვოსუს აგრძნობინა, ფარზე არაფერი გესაქმებაო და საშუალო მანძილიდან სროლებზე გადაიყვანა. არმიელთა ცენტრი თავის ადგილისთვის არ უქნია ღმერთს და ფარს გარეთ რაღა იქნებოდა? მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესვენებამდე 7,40 წუთით ადრე ანგარიში 20:20 იყო.

რუსების ბედად, ცსკა-ში მაღალი კლასის უკანახაზელი ვასილი კარასიოვი თამაშობდა, ხოლო „პანათინაიკოსში" — მისი კოლეგა პანაიოტის იანაკისი. რუსმა თავის თავზე აიღო თამაში და ინდივიდუალური გარღვევებით ქულას ქულაზე აგროვებდა. იანაკისმა დაცვაში ხომ ასეირნა კარასიოვი თავის ნებაზე, შეტევაში შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ბოლოს კი მთლად სასწაული გააკეთა — ბურთი მეტოქის მოედნიდან საკუთარზე გადმოაგდო. ზონის პრინციპს ასე მარტივად რაიონის პირველობაზეც არ არღვევენ.

თუმცა, ბერძენთა მწვრთნელი ბოჟიდარ მალკოვიჩი ყველაფერს კარგად ამჩნევდა. მან ჯერ ვურცუმისი შეიყვანა ალვერტისის ნაცვლად, მერე კი ეს უკანასკნელი ბერიკაც იანაკისის მაგივრად შეუშვა. აქედან მოყოლებული, „პანათინაიკოსის" საქმეები წაღმა წავიდა და იგი მუდამ წინ იყო.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ვილკინსმა სროლის გაკვეთილები ჩაუტარა რუსებს. მან ჰაერში ნახევარტრიალით და უკან გადაწევით ორჯერ ჩააგდო, ერთხელ — სამქულიანი და მეტოქე მორალურად დათრგუნა. არმიელები ფარზე უმწეოები იყვნენ. ერთ მომენტში ჩია ვურცუმისმა აქეთ-იქით მოცქირალ გოლიათებს კისურინსა და ნვოსუს თვალწინ მოუხსნა ბურთი.

ალვერტისი კვლავ გავიდა და ბერძენთა უკანა ხაზმა ისევ დაიწყო არევა. მათ სამჯერ დაკარგეს ბურთი, მაგრამ რად გინდა! რუსული მედიის მიერ ლამის ყველა დროისა და ეროვნების საუკეთესო სნაიპერად შერაცხულმა კუდელინმა ორჯერ სამქულიანი აცილა, მერე კი ორი საჯარიმოც ვერ გამოიყენა. საერთოდ, ბერძნებმა იმთავითვე მოუსპეს რუსებს სამქულიანის სროლის საშუალება. ზონური დაცვა ისე იდგა, რომ სამქულიანი ხაზის პერიმეტრი მუდამ დაკავებული იყო. ათენელთა პასები კი დიდებული იყო. ამის კულმინაცია კი


დომინიკ ვილკინსი

ვილკინს-ვრანკოვიჩის ელვისებური კომბინაცია გახლდათ, რომელიც ხორვატის ჩატენვით დასრულდა.

ცსკამ, ისევ კარასიოვის წყალობით, კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ დაბრუნებულმა ალვერტისმა ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო და ის 10-ქულიანი უპირატესობა, მის გუნდს ლამის მთელი ტაიმი რომ ჰქონდა, ძალაში დატოვა.

უეცრად, დამთავრებამდე 1,26 წუთით ადრე გუნდარს ვეტრამ სამი საჯარიმო ჩააგდო და მისიანები პერსონალურების მიღებაზე გადავიდნენ. ვილკინსი რას აცდენდა? სამაგიეროდ კორფასმა ორივე ბურთი რგოლს მოარტყა. კვლავ ვეტრამ სამქულიანი ჩააგდო და როცა თავად ეკონომუზე დაჯარიმდა, ბერძნები მხოლოდ 74:70-ს იგებდნენ. ეკონომუმ ერთხელ ივარგა და ბერძენთა რიგებში მცირე პანიკა ატყდა.

მაგრამ ვილკინსი რის ვილკინსი იქნებოდა, თავისი სიტყვა რომ არ ეთქვა? არმიელთა ნასროლი სადღაც ღრუბლებში მოხსნა და ბურთიანად ერთ ადგილზე გაიყინა. თითქოს უთხრაო რუსებს: პასს არავის ვაძლევ და თუ ბიჭები ხართ, ჩემს წინააღმდეგ დაჯარიმდითო. კისურინს სხვა რა გზა ჰქონდა — დრო გადიოდა. ვილკინსმა ეს ორი საჯარიმოც ჩააგდო, ამას კიდევ ორი მიაყოლა და ბოლო წამებზე, როცა უკვე ალვერტისი იდგა საჯარიმოს ხაზზე, მწვრთნელ მალკოვიჩს მშვიდად ესაუბრებოდა.

### ბარსელონა — რეალი 76:66

ბარსელონა: გალილეა, ფერნანდესი (6), კარნიშოვასი (24), ხიმენესი (6), გოდფრიდი (22); მარტინესი (12), დიასი (2), მონტერო (2), ბოში (2)

რეალი: ანტუნესი (11), სანტოსი (8), სმიტი (8), არლაუსკასი (22), სავიჩი (13); ლასო (2), მორალესი (2), კოლი

მსაჯები: ვიროვნიკი (ისრაელი), იუგენბრადი (ფინეთი)

ესპანური ფეხბურთის, კალათბურთის და სპორტის კიდევ უამრავი სახეობის ამ ორ მოწინავე კლუბს თავის სამშობლოს სარბიელი ევიწროვა და ბრძოლა მის საზღვრებს გარეთ, ევროპაში განაგრძო. ესენი წელიწადში იმდენჯერ ხვდებიან, რომ ერთმანეთს ავ-კარგი თვალდახუჭულებმა იციან. რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მათგანმა ისეთი, მეტოქემ რომ არ იცოდეს, ან, ბოლოსდაბოლოს, რამდენიმე წუთში არ გაშიფროს?

თუმცაღა, მატჩამდე რაღაც მინიმალური უპირატესობა მაინც კატალონიელებს ჰქონდათ. „ბარსა" შარშანდელთან შედარებით უფრო გაძლიერდა, ქვეყნის ჩემპიონატსაც უფრო სტაბილურად თამაშობს და ევროპის საკლუბო ჩემპიონატშიც გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება. სამეფო კლუბი, ევროპის შარშანდელი ჩემპიონი კი დასუსტდა, იგი ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა დატოვა. მარტო არვიდას საბონისი ევროპის მასშტაბით მთელს გუნდს უდრიდა. და მაინც, „რეალის" თავკაცმა, ევროპის ბოლო ორი წლის საუკეთესო მწვრთნელმა, „ჯადოქარმა" ზელკო ობრადოვიჩმა ახალი გუნდის ჩამოყალიბება დაიწყო (ძალიან ჰგავს მისი მეტოქე კლუბის ფეხბურთელთა გუნდის დამრიგებლის, იოჰან კრუიფის სიტუაციას) და მადრიდელები „ოთხთა ფინალში" გაიყვანა. ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ეს „რეალის" მაქსიმუმი იყო...

თამაში ისე დაიწყო, კაცი იფიქრებდა, „რეალს" საბონისი სულ არ სჭირდებოდა, ისედაც გადასარევად თამაშობსო. შეუდარებელი იყო ჯო არლაუსკასი. ჩვეული, ძალისმიერი სტილით, ერთიმეორის მიყოლებით გზავნიდა ბურთს კალათში, ხოლო როცა მისი გუნდი 25:12 დაწინაურდა, ჯოს ანგარიშზე 10 ქულა იყო. „რეალს" ყველაფერი გამოსდიოდა, თანაც, სწრაფად. ბედიც სწყალობდათ: ცენტრმა ზორან სავიჩმა იმისთანა სამქულიანი ჩააგდო, თვით რეჯი მილერსაც შეშურდებოდა. „ბარსელონა" ყოველწუთიერად ცვლიდა მოთამაშეებს, სასურველ შემადგენლობას ეძებდა. „რეალი" კი... სასტარტო ხუთეული კვლავ მოედანზე იყო. რას ფიქრობდა ან რას უმზადებდა მეტოქეს ბრძენი ობრადოვიჩი, კაცმა არ იცის. ფაქტი ის იყო, რომ დაღლილ მადრიდელებს უფრო და უფრო უჭირდათ ჩაგდება.

34:20-ზე „ბარსას" მწვრთნელმა აიტო გარსია რენესესმა წუთშესვენება აიღო, რომლის შემდეგ დევნა დაიწყო. კარნიშოვასმა და მონტერომ ზედიზედ ჩატენეს. ობრადოვიჩმა საფრთხე იგრძნო და წუთშესვენება მოითხოვა, თუმცა ცვლილება კვლავ არ გაუკეთებია. მისავათებულმა მადრიდელებმა ბურთის დიდხანს ტარება დაიწყეს. ფლობისთვის განკუთვნილ 30 წამს ბოლომდე იყენებდნენ, ერთი-ორჯერ ნამეტანიც ჰქნეს და ვადის გადაშორებისთვის ბურთი მეტოქეს გადააბარეს. თუკი ბოლო წამებზე ისროდნენ, აცილებდნენ, ხოლო ისმაელ სანტოსი, შარშანდელი „ოთხთა ფინალის" გმირი ისე გაითიშა, რომ ცარიელ ფართან მარტო მდგომმა ვერ ჩააგდო. „ბარსა" მეტოქეს წამოეწია და რომ არა არლაუსკასი, იქნებ ტაიმიც ფრედ დაემთავრებინა.

შესვენების შემდეგ გაირკვა, თუ რას ნიშნავდა „რეალისათვის" საბონისი. კატალონიელთა ამერიკელმა ცენტრმა დან გოდფრიდმა ფარქვეშ სულ ბღლვირი ადინა მადრიდელთა იუგოსლაველ სავიჩს. მის კაუჭებს სავიჩი მხოლოდ თვალს აყოლებდა, ხოლო „ბარსას" გაკეთებული 10 ქულიდან 8 ამერიკელისა იყო. „რეალი" პირველად ჩამორჩა — 43:44. აქ ორი შეცვლა გაკეთდა: ლასო და მორალესი შემოვიდნენ. ამოძრავდა გაესპანელებული ამერიკელი მაიკ სმიტი — აქამდე უშედეგომ ჯერ ორქულიანი ჩააგდო, მერე კი ორი სამქულიანიც მიაყოლა. „რეალი" ნელ-ნელა კვლავ წინ გავიდა და ზუსტად ტაიმის შუაში 56:50 იგებდა. ამ დროს არლაუსკასის დევნაში შეწუხებული ხიმენესიც თამაშიდან გავარდა და მადრიდელთა ბედისთვის თითქოს ძაღლსაც არ უნდა დაეყეფა...

„რეალი" ისევ ერთ ადგილზე დადგა. კარნიშოვასმა თანაგუნდელები აიყოლია და წუთნახევარში „ბარსამ" ანგარიში გაქვითა, ხოლო ბოშმა ორი საჯარიმოთი წინ გაიყვანა. ახლა „მეფის რჩეულები" ამოძრავდნენ: ლასომ ერთი-ორი გაიფაფხურა და ბოლოს, გრძელი გარღვევით ანგარიში 62:58 გახადა.

ეს ციფრები ტაბლოზე კარგა ხანს იყო დაფიქსირებული, ვიდრე გოდფრიდმა არ გამოიღო ხელი და არ გაათანაბრა. „რეალი" კვლავ მიუბრუნდა ბურთის ბოლომდე გათამაშების ტაქტიკას და ერთ-ერთი შეტევის დამთავრებამდე 3 წამი რომ რჩებოდა. არლაუსკასმა ორი საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო. ერთი გამოიყენა (63:62). ეს იყო მადრიდელთა ბოლო დაწინაურება. დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა.

ავღნიშნავთ, რომ „ბარსელონა" აქამდე გოდფრიდმა და კარნიშოვასმა მოიყვანეს, მაგრამ მატჩის გმირის გვირგვინით ვერცერთმა ვერ დაიმშვენა თავი. სცენაზე გამოჩნდა ახალი პერსონაჟი, 206-სანტიმეტრიანი დათვივით მოყვანილი ცენტრი, ფერან მარტინესი. მან ჯერ სანტოსი დააჯარიმა და ორი საჯარიმო ჩააგდო (64:63), შემდეგ ბურთით მიმავალ იგივე სანტოსს ხეირიანად ჩაუდგა წინ, დააჯარიმა და გააგდო, მერე კი მოედნის ზუსტად მარცხენა კუთხიდან სამქულიანი ჩააგდო. სავიჩმა სცადა მეტოქის კოლეგა-ცენტრისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ მალაკო გააკეთა. ობრადოვიჩის წუთშესვენება კი მის მოთამაშეებს მხოლოდ სულის მოსათქმელადღა თუ დასჭირდებოდათ.

„ბარსელონა" ფინალში გავიდა. კატალონიურმა კლუბმა უკანასკნელად ეს 1991 წელს შეძლო იმავე პარიზში, მაგრამ მაშინ პოპ-84-თან დამარცხდა. „იმედი მაქვს, ამჯერად განსხვავებული რამ მოხდება", — თქვა ამის თაობაზე გარსია რენესესმა და თან ლიტველ კარნიშოვასს განსაკუთრებით შეუქო გარჯა.

**მერაბ რატიშვილი**

ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის გუშინ, გვიან ღამით გაიმართა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. 28-ე ტური
12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| აინტრახტი — ჰანზა | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| მიუნხენ 1860 — ურდინგენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — შალკე | 1,2 | 2,9 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,2 |
| ფრაიბურგი — კარლსრუე | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მიონხენგლადბახი — კიოლნი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| შტუტგარტი — ბაიერნი | 3,2 | 2,6 | 1,7 |
| ზანქტ პაული — ვერდერი | 1,8 | 2,6 | 2,8 |

14 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — ფორტუნა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |

ინგლისის ჩემპიონატი. 36-ე ტური
13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — ლიდსი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ქოვენთრი — ქუინზ პარკ რეინჯერსი | 1,6 | 2,6 | 2,6 |
| ევერტონი — ლივერპული | 2,6 | 2,8 | 1,8 |
| მანჩესტერ სიტი — შეფილდი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| მიდლსბრო — უიმბლდონი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ნოტინგემი — ბლექბერნი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| საუთჰემპტონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 | 2,7 | 1,5 |
| ვესტ ჰემი — ბოლტონი | 1,6 | 2,6 | 3,6 |

14 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ასტონ ვილა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ტოტენჰემი | 2,0 | 2,5 | 2,5 |

იტალიის ჩემპიონატი. 30-ე ტური
14 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — კალიარი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ბარი — კრემონეზე | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ინტერი — პადოვა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| იუვენტუსი — სამპდორია | 1,2 | 2,9 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,2 |
| ლაციო — პარმა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ნაპოლი — მილანი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| პიაჩენცა — ტორინო | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ვიჩენცა — რომა | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 36-ე ტური
13-14 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტენერიფე — სალამანკა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:2 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| ალბასეტე — კომპოსტელა | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სოსიედადი — ვალენსია | 1,9 | 2,5 | 2,7 |
| სანტანდერი — ბარსელონა | 3,6 | 2,6 | 1,6 |
| ატლეტიკო — ბეტისი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| ხიხონი — ოვიედო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| სევილია — რეალი | 2,8 | 2,6 | 1,8 |
| ესპანიოლი — რაიო ვალეკანო | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| სელტა — სარაგოსა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| დეპორტივო — მერიდა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| ვალიადოლიდი — ატლეტიკო | 1,7 | 2,6 | 3,2 |

რუსეთის ჩემპიონატი. მე-7 ტური
13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — სპარტაკი | 3,0 | 2,5 | 1,8 |

14 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — დინამო | 3,0 | 2,5 | 1,8 |

საფრანგეთის თასის ნახევარფინალები
13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მარსელი — ოსერი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ნიმი — მონპელიე | 2,5 | 2,5 | 2,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური რდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 1-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | [illegible] | 2-2 | 1-0 | 1-0 | [illegible] | [illegible] |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | [illegible] | 0-1 | [illegible] | 3-0 | 1-4 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | [illegible] | 1-2 | 0-0 | [illegible] | 0-2 | 0-1 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | | | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | 1-1 | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | 2-4 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | 6-4 | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | 1-2 | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | 3-0 |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | 1-2 | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | 0-2 | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | 1-2 | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | 2-4 | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-1 | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | 3-0 | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 2-1 | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | 1-2 | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | 1-0 | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | 3-0 | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | 1-3 | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | 2-3 | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | 2-1 | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 3-1 | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | 1-0 | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | 3-0X | | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირდა კი ღელვად ?!

გასრულდა მტანჯველი მოლოდინი: გუშინწინ, შუა დღესლა გადაწყდა საბოლოოდ, რომ საქართველო – ჩეხეთის სარაგბო თამაში გაიმართოს ვაკის სტადიონზე, სადაც ჩვენი მორაგბეები ბევრად უფრო ხშირად და მეტწილადაც ისე გრძნობენ თავს, როგორც შინ.

რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმე იქნებოდა, ქართველ მორაგბეებს მეტოქისათვის რომ ემასპინძლათ ქვეყნის უპირველეს ასპარეზზე, თავმომწონედა და როგორც ამჯერადაც დადასტურდა, დემაგოგიურად რომ ჰქვია „ეროვნული". ჩვენი ფეხბურთის მამების დაჟინებით ეს ვერ მოხერხდა: ამ ხალხს, ეტყობა და იქნებ მართებულადაც მიაჩნია, რომ ერთ ტაძარში ორი ღმერთის სადიდებლად ლოცვა არ ეგების, თუმც კი მსოფლიოს დიდ სტადიონთა – „პარკ დე პრენსის", „ლენზდაუნ როუდის", „კარდიფ არმზ პარკის", „სიდნი ფუთბოლ სთეიდიუმის", „სუ-კუუნ-პუუუს", „კინგზ პარკისა" თუ „ველეს სარსფილდის" მაგალითები სულ საპირისპიროს მოწმობს.

ამაოდ დაშვრნენ საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელები, სულ ტყუილად აფორიაქეს სახელმწიფო მინისტრი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე და მისი პირველი მოადგილე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და კიდევ ვინ იცის, რამდენი პატივსაცემი პიროვნება, თავისი და ბევრად უფრო საშური საქმე თავზესაყრელად რომ აქვთ – აულებელი ციხე-სიმაგრე აღმოჩნდა „ეროვნული სტადიონი", რომლის კუთვნილებითი სტატუსის გამო ბევრი მითქმა-მოთქმაა.

თათბირებმა, სტუმრობამ, რეკვამ, „პირადმა კონტაქტებმა" ბარემ ერთი კვირა გასტანა. ამ ხნის მანძილზე ქართული სარაგბო თემის მეტ ნაწილს ნერვები დააწყდა და ფეხბურთელების კაი-კაცობაზე სულ მთლად ჩააქნევინა ხელი. ნაკრებში საყოველთაო ხევრონხმა დაისადგურა: იმის მაგივრად, რომ ტაქტიკაზე ეფიქრათ, მწვრთნელებს ის აღარდებდათ, სპორტის დეპარტამენტის საუნაში ტანისამოსის ზედმეტი საკიდები როგორმე რომ მიეტანათ, ანაც მოხალისე თანაშემწეებისთვის ექირავებინათ ტრალერი „დინამოზე" გდებული რაგბის კარის ძელების „ლოკომოტივზე" წასასვენებლად.

გუნდმა მაინც თავდაუზოგავად ივარჯიშა ვაკის სტადიონზე, სადაც საზოგადო ვითარების გარდა გაზონიც დიდებულია. „ბიჭები ბრდღვნიან ყველაფერს" და დიდი თამაშის მოლოდინითაც სულდგმულობენ. შესათამაშებლად და ფორმაში შესასვლელად ძალიანაც მოხდომიათ რუმინეთში სტუმრობა, სადაც სამი მატჩი გაუმართავთ ჩეხებზე უკეთეს მეტოქეებთან.

მწვრთნელები – გურამ მოდებაძე, დავით კილასონია, ზაზა თხელიძე და მალხაზ ჭეიშვილი „ბორჯღალოსნებს" დღის 4 საათზე სათამაშოდ ამზადებენ. პარასკევისთვის დაგეგმილი უმაღლესი დონის სახელმწიფო ვიზიტი ერთი პირობა რაგბსაც გადმოსწვდა და მატჩის გადაცემის მოსურნე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის წინადადებით მიამიტმა და დამყოლმა მორაგბეებმაც თამაშის დაწყება უმალ 3 საათისთვის გადადეს, მაგრამ მერელა გაახსენდათ, რომ სა-ოთხ-საათო აფიშები უკვე დაებეჭდათ და რაღა დარჩენოდათ, „პირველ არხს" ქოში უკუ უყარეს.

რა გადაწყდა, რომ თამაში ნაღდად ვაკეში გაიმართება, ხელახლა გაიბურღა ნიადაგი და ამ ღვაწლმოსილი სტადიონის ისტორიაში უმაღლესი ძელებიც მკვიდრად დაისო. მორაგბეებს ხომ კიდევ ბევრჯერ გამოადგებათ ბარაქიანი კარები. რაც უნდა იყოს, იქეთა კვირაშივე იწყება ქვეყნის ჩემპიონატი, ფეხბურთელთა შეჯიბრებისაგან განსხვავებით მოკრძალებულად, ოღონ „საქართველოს პირველობა" რომ ჰქვია.

უეჭველია, რომ პარასკევს ვაკეში ყველაფერი რიგზე იქნება. სტადიონის განახევრებულმა ტრიბუნებმა იქნებ ყველა მსურველიც ვერ დაიტიოს. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, ვაჟკაცური თამაში და ლამაზი ლელოები ვუსურვოთ ქართველ „ბორჯღალოსნებს", მაგრამ ამ დიდი რაგბის „ეროვნულზე" გაუმართაობა მაინც ბადებს ერთ სევდიან კითხვას: მაინც როდემდე შეიძლება გასტანოს საერთოდ სპორტის, მისი ცალკეული სახეობებისა და სპორტული ბაზების საქმეთა განმრიგეთა უფროს-უმცროსობის გარკვევის პროცესმა? განა ვინმესთვის საეჭვოა, რომ „დინამოზე" მორაგბეთა შეშვებისათვის ერთობ გაჭიანურებული შერკინება მორიგი სვლა იყო იმ საჭადრაკო პარტიისა, რომელშიც რაგბი ოდენ პაიკია.

ზაზა ფხაკაძე



ამ ორი წლის წინ, მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში ჩეხები ბევრჯერ აღმოჩნდნენ ამ დღეში — იტალიამ იმ დღეს 16 ლელო გაუტანა!

ქრის თაუს (KICKoff!) ფოტო

# რანი არიან ჩეხები ?

ჩეხები ევროპული რაგბის ერთ-ერთი მესვეურები არიან. თამაში 1920-იანი წლებში დაუწყიათ, როცა ცნობილ მწერალ ონდრეი სეკორას საფრანგეთიდან შინ წესები ჩაუტანია და თვისტომთათვის უთარგმნია.

ქვეყნის რაგბის კავშირი 1926 წელს დაარსებულა. ნაკრებს პირველი მატჩი რუმინეთთან ბრატისლავაში გაუმართავს 1927 წელს და 5:21 წაუგია.

ჩეხები ფირა-ს ერთ-ერთი დამფუძნებელნიც ყოფილან (1934 წელს). დღესდღეობით 21 კლუბი და 3 ათასი მოთამაშე ჰყოლიათ, რაც აშკარად გაზვიადებული ჩანს. ჩეხოსლოვაკია-ყოფილში თამაში დანერგილი ოდენ ბოჰემიასა და მორავიაში ჰქონდათ, რისი წყალობითაც სლოვაკეთის გამოყოფამ ოვალურ ბურთაობას ვერაფერი დააკლო.

ამ 30 წლის წინათ ჩეხთა გუნდი ევროპულ სარბიელზე ანგარიშგასაწევი ძალა იყო. 1966 წელს სლავებმა პრაღაში ფრე 9:9 გაუგორეს ძლევამოსილ რუმინეთს, 1967 და 1968 წლებში კი ფირა-ს არაოფიციალურ პირველობებში, „ერთა თასი" რომ ერქვა, ჩეხებმა მესამე ადგილი დაიჭირეს.

მასუკან ჩეხური რაგბი დაკნინდა, ვინაიდან ხელისუფლება გადაირია პოლიტიკურად მნიშვნელოვან ოლიმპიურ სახეობებზე და სხვების განვითარებისათვის ზრუნვაზე ხელი აიღო. ჩეხები კონტინენტური ევროპის პირველობის მეორე დონემდე ჩამოქვეითდნენ, თუმც იმ პერიოდში ერთი დიდი გამარჯვება მაინც მოიპოვეს: 1976 წლის 17 ოქტომბერს, შინ, პატარა ქალაქ ჟიჩინში, ატალახებულ მოედანზე 9:6 დაამარცხეს სსრკ, რომლისთვისაც ეს მატჩი ფირა-ს ასპარეზზე დებიუტი იყო. იმ საბჭოთა გუნდში ქართველთაგან თამაშობდნენ მცველი ნუკრი აბაშიძე (თბილისის „ივერია") და თამაზ მგელაძე (მონინოს სსა („ვვა")). მგელაძემ საბჭოელთა პირველი ევროპული ლელოც კი გაიტანა.

ამ მოგებით ჩეხები უმაღლეს დონეზე დაბრუნდნენ, სადაც ყველა თამაში წააგეს და ისევ გავარდნენ. რუმინეთთან 6:60 დამარცხების შემდეგ ქვეყნის სპორტის მინისტრმა ანტონინ ჰიმლმა დაიბარა გუნდის ხელმძღვანელობა და ჰკითხა, ანაბოლური სტეროიდების რა ულუფა უნდა გამოვუწეროთ თქვენს ბიჭებს, შედეგი რიგიანი რომ ჰქონდეთო.

კეთილშობილმა მორაგბეებმა იუკადრისეს დოპინგით გაჭყეპვა. ასე არ უნდაო და სპორტკომიტეტმაც ხუთი წლით (!) ჩამოაშორა გუნდი საერთაშორისო სარბიელს.

ფირა-ს პირველობაზე დაბრუნების შემდეგ ჩეხთა გუნდი ერთადერთხელ აღზევდა უმაღლეს დონემდე, ისიც იმის წყალობით, რომ იმ ჩემპიონატში საფრანგეთი, იტალია და რუმინეთი მოუცლელობის გამო არ მონაწილეობდნენ. მანამდე, მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში ჩეხეთი საზარლად დაამარცხა იტალიამ. გამოხდა ერთი წელი და „ა1" ჯგუფის მეოთხე გუნდთან – ბელგიასთან დასარჩენი თამაშის წაგების გამო ჩეხები კვლავ ჩამოქვეითდნენ „ბ" დონეზე, სადაც მათ უფრო ქვევიდან აღზევებული საქართველო დახვდათ.

**ქართულ – ჩეხური** სარაგბო კონტაქტები 1973 წლიდან იწყება. მაშინ თბილისის „ლოკომოტივი" მოსკოვის ტურნირში ეთამაშა „სლავიასა" და „დუკლას": პირველს მოუგო, მეორესთან – წააგო. 1975 წლის ოქტომბერში გვეწვია პრაღის უნივერსიტეტის გუნდი და თბილისში ეთამაშა უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. თბილისის უნივერსიტეტის საპასუხო პრაღული ვიზიტი 1976 წლის ივნისში განხორციელდა. 1977 წელს ვაკესა და რუსთავში, გაზეთ „სოც. ინდუსტრიის" ტურნირში ითამაშა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, მაგრამ ამ შეჯიბრში საქართველო დამოუკიდებელი გუნდით არ მონაწილეობდა. 1984 წელს ჩეხეთში იმოგზაურა თბილისის „შევარდენმა". ერთ-ერთი თამაში კურიოზულად შეწყდა: საბჭოურ ასპარეზზე მრავლის მნახველ ჩვენებს რით გააკვირვებდი, მაგრამ მაინც შემოელახათ უნამუსო ჩეხი მსაჯი.

## ჩეხთა ბოლო ხნის მონაგარი

| | | |
|---|---|---|
| **ფირა 1992-93** | | |
| პოლონეთი | 8:25 | ჩეხეთი |
| ჩეხეთი | 21:16 | ჰოლანდია |
| ანდორა | 6: 3 | ჩეხეთი |
| შვედეთი | 30: 7 | ჩეხეთი |
| **ფირა 1993-94 თანაც მსოფლიო თასი (ჰოლანდიაში; *)** | | |
| ჩეხეთი | 19:18 | პოლონეთი |
| ჰოლანდია | 42: 6 | ჩეხეთი * |
| შვედეთი | 34: 7 | ჩეხეთი * |
| ისრაელი | 0:28 | ჩეხეთი * |
| ჩეხეთი | 56: 0 | ანდორა |
| **მსოფლიო თასი (1994; იტალიაში)** | | |
| ჰოლანდია | 38: 9 | ჩეხეთი |
| იტალია | 104:8 | ჩეხეთი |
| **ფირა 1994-95** | | |
| ჩეხეთი | 12: 5 | გერმანია |
| ესპანეთი | 90: 8 | ჩეხეთი |
| მაროკო | 18:13 | ჩეხეთი |
| ჩეხეთი | 18:19 | პორტუგალია |
| ბელგია | 32: 7 | ჩეხეთი |

## ჩეხეთი ფირა-ს პირველობებში

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 73-74 | ბ | (5) | 2 | 82-83 | ც | (5) | 1 |
| 74-75 | ა | (5) | 5 | 83-84 | ბ2 | (5) | 2 |
| 75-76 | ბ | (6) | 2 | 84-85 | ბ1 | (4) | 2 |
| 76-77 | ბ | (5) | 1 | 85-87 | ბ2 | (4) | 2 |
| 77-78 | ა | (6) | 6 | 87-89 | ბ1 | (4) | 3 |
| | | | | 89-90 | ბ2 | (5) | 4 |
| | | | | 90-92 | ც2 | (3) | 1 |
| | | | | 92-94 | ბ1 | (5) | 3 |
| | | | | 94-95 | ა2 | (5) | 4 |
| | | | | 95-96 | ბ1 | (5) | |

თითოეული სეზონისათვის მითითებულია ჩეხთა ჯგუფი, მასში გუნდების რაოდენობა და ჩეხთა ადგილი

დღევანდელ თამაშს გაუძღვება რუმინელი მსაჯი, გვარად **ბალანდა**, ვინაც თბილისს გუშინწინ დილით ჩამოფრინდა.

## ქართველი ბორჯღალოსნები

| თიკუნი | სახელი | გვარი | ასაკი | კლუბი | ხელობა * | ** კეპი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უკანახაზელები** | | | | | | |
| * 15 მცველი; 14-11 გარემარბი, 13-12 შუამარბი, 10 გარე ნახევარმცველი, 9 შერკინების ნახევარმცველი | | | | | | |
| ჩიჩმია | კახა | მაჩიტიძე | 27 | გუმარი | 15 | 6 |
| ბახაბახა | ემზარ | ძაგნიძე | 26 | აია | 15 | 9 |
| ტოლიკა | სპირიდონ | ლიპარტელიანი | 30 | ყოჩები | 14 | 3 |
| ბუგი | გიორგი | ბუგიანიშვილი | 22 | გუმარი | 14 | 0 |
| პალიკო | პავლე | ჯიმშელაძე | 21 | გუმარი | 13 | 3 |
| სვერლო | სანდრო | საკანდელიძე | 24 | ყოჩები | 13 | 0 |
| | კახა | ალანია | 23 | ქორები | 12 | 2 |
| ბარათა | პაატა | ტყაბლაძე | 27 | აია | 12 | 2 |
| ტელმანა | არჩილ | ქავთარაშვილი | 24 | ქორები | 11 | 4 |
| ბეირუთა | ნიკოლოზ | იურინი | 24 | პენზა (რუსეთი) | 10 | 4 |
| წისქვილიჩა | ბესო | ტეფნაძე | 25 | ყოჩები | 10 | 1 |
| იკა | ირაკლი | ლეჟავა | 27 | გუმარი | 10 | 4 |
| ნიკორა | ზაზა | ხუციშვილი | 29 | აზოტი ? გუმარი | 9 | 4 |
| შოკა | შოთა | მოდებაძე | 22 | გუმარი | 9 | 2 |
| **მორკინალები** | | | | | | |
| * 1-3 ბურჯი, 2 კვაჭი, 4-5 მეორეხაზელი, 6-7 ფრთა, 8 შემკვრელი | | | | | | |
| გირა | ირაკლი | ჩიქავა | 26 | ყოჩები | 1 | 6 |
| ატლასა | დავით | აშვეთია | 21 | აია | 1, 3 | 0 |
| გლობუსა | აქვსენტი | გიორგაძე | 20 | აია | 2 | 0 |
| | გუგა | ბაბუნაშვილი | 32 | გელათი | 3 | 6 |
| მთიულა | მევლუდ | მთიულიშვილი | 26 | გუმარი | 2, 3 | 2 |
| | ალეკო | ლიბრაძე | 23 | ქორები | 4 | 7 |
| პარწიკანა | სოსო | პარწიკანაშვილი | 24 | გუმარი | 5 | 1 |
| პანკრაშკინა | ზურაბ | მჭედლიშვილი | 25 | გუმარი | 5 | 1 |
| დიმა | დიმიტრი | ობოლაძე | 27 | გუმარი | 6 (კაპ) | 8 |
| ნივა | თამაზ | ფხაკაძე | 30 | აია | 7 | 7 |
| ლეჟე | ზაზა | ლეჟავა | 29 | ყოჩები | 7 | 2 |
| | ვიქტორ | დიდებულიძე | 26 | გუმარი | 8 | 4 |
| | ნიკა | აბდალაძე | 24 | აია | 8 | 0 |

** მაქსიმუმი — 17 კეპი

## „ბ1" ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| **1995** | | | |
| 23.09 | გერმანია | 28:17 | ჩეხეთი |
| 15.10 | საქართველო | 14: 3 | გერმანია |
| 29.10 | დანია | 20:20 | ჰოლანდია |
| 19.11 | დანია | — : + | საქართველო |
| 24.11 | ჰოლანდია | 55: 3 | საქართველო |
| **1996** | | | |
| 30.03 | ჩეხეთი | 3:26 | ჰოლანდია |
| 12.04 | საქართველო | : | ჩეხეთი |
| 21.04 | ჰოლანდია | : | გერმანია |
| 27.04 | ჩეხეთი | : | დანია |
| 12.05 | გერმანია | : | დანია |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 101:26 | 5 |
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 17:58 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 31:31 | 2 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 1 | 20:20 | 0 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 20:54 | 0 |

## გავარდნენ

სხვადასხვა ყაიდაზე მობურთალ ქართველ ჭაბუკებს ვერ აჯობეს თანატოლმა მორაგბეებმა, კათოლიკური აღდგომის კვირაში ბრეშიაში (იტალია) რომ ითამაშეს ფირა-ს მსოფლიო ჩემპიონატში. ჩვენი ბიჭები წელს პირველად თამაშობდნენ მეორე ჯგუფში, მაგრამ სამივე თამაში ბოლო წუთებზე წააგეს – პოლონეთთან (11:13), მაროკოსთან (8:15, პარაგვაისთან (9:16) და წინამორბედთა გარჯით მოპოვებული ადგილი ვერ შეუნარჩუნეს ქვეყანას. ერთი სიტყვით, გაისად საქართველოს კვლავ მესამე დონეზე მოუწევს თამაში, თუკი სასპარეზოდ ქვეყნის დასალიერს – ჩილეში ჩავა.





# ნაირგვარ ძრავთა ღმუილი

## ინდიკარი

ინდიკარი (ფოტოზე) ფორმულა-1-ის ამერიკელი და იმ კონტინენტზე უპოპულარულესი ნათესავია. იგი სამი განსხვავებული ტიპის ტრასებზე — ოვალურ ტრეკებზე, ქალაქის ქუჩებში და ევროპული ტიპის ავტოდრომებზე ტარდება. ოვალები თავის მხრივ განსხვავდებიან კონფიგურაციით, სიგრძითა და ვირაჟების დახრის კუთხით. მათზე ბოლიდების სიჩქარე 360 კმ-სთ-ს აღწევს.

ფორმულა 1-ისგან განსხვავდება ინდიკარის ქულათა დარიცხვის სისტემაც: პირველი ადგილი — 20 ქულა, მეორე — 16, მესამე — 14, მეოთხე — 12, მეხუთე — 10, მეექვსე — 8, მეშვიდე — 6, მერვე — 5, ..., მეთორმეტე — 1 ქულა. და კიდევ, პლუს ერთი ქულა პოულისათვის და ერთიც რბოლაში მეტ ხანს ლიდერობისათვის. ერთი სიტყვით, პილოტმა შეიძლება რბოლა ვერც დაამთავროს და ჩასათვლელი ქულები მაინც მიიღოს.

გუნდები ოთხი ტიპის შასის — „პენსკე", „ლოლა", „რეინარდი" და „იგლი" (დებიუტანტი) და ამდენივე ტიპის ძრავას — „ფორდი", „მერსედესი", „ჰონდა" და „ტოიოტა" (დებიუტანტი) იყენებენ, რაც მეტ-ნაკლებად ათანაბრებს მონაწილეთა შანსს და ბრძოლას დაძაბულს ხდის. ნებადართულია ტურბო-ძრავები. მხოლოდ ერთი გუნდი — „მარლბორო-პენსკე-მერსედესი" ასპარეზობს მისივე დამზადებული ბოლიდით, დანარჩენი გუნდები კი შასის ყიდულობენ.

წლევანდელი ჩემპიონატი — „ინდიკარის მსოფლიო სერია" 15 ეტაპისაგან შედგება და ოთხი ქვეყნის — აშშ, კანადა, ბრაზილია და ავსტრალია ტრასებზე ტარდება. გამარჯვებული ერთ მილიონს, ხოლო მეორე ადგილზე გასული — ამის ნახევარს მიიღებს. ორგანიზატორებს არც მომსახურე პერსონალი ავიწყდებათ — ყველაზე ცქვიტი ბრიგადა 150 ათასი დოლარით ჯილდოვდება. გარდა ამისა, ყოველ რბოლას ჰყავს გენერალური და რამდენიმე რიგითი სპონსორიც, რომლებიც სხვადასხვა სახის ჯილდოებს აწესებენ: 5, 10 ან მეტ წრეზე ლიდერობისათვის, 100 მილ მანძილზე პირველობისათვის, კვალიფიკაციის მიხედვით ყველაზე ნელი პილოტის გამარჯვების შემთხვევაში, ყველაზე საიმედო პილოტისათვის, წლის საუკეთესო ახალბედასათვის. ყველაფერი ეს ინტრიგას მატებს ასპარეზობას. ზოგი „დიდი პრიზის" მთავარი ჯილდო ხშირად მილიონ დოლარსაც აღწევს.

**მარტში** სერიის სამი ეტაპი ჩატარდა. სეზონი ფლორიდაში, მაიამის ოვალზე გაიხსნა. რბოლა ჯერ დაწყებულიც არ იყო, რომ ჩემპიონატის დებიუტანტებმა — ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტებმა რობერტო მორენომ და მარკ ბლანდელმა თავი გამოიჩინეს: ორივეს მოუცურდა მანქანა, მორენო კედელს შეასკდა, ხოლო ბრიტანელი პილოტი ტრასის შიგნით გაზონზე აღმოჩნდა, მაგრამ ტრასაზე დაბრუნება მოახერხა და რბოლაში ჩაერთო. აქვე უნდა ითქვას, რომ ინდიკარში სტარტი სვლით ეძლევა, პეისკარი გასახურებელი წრის შემდეგ ტოვებს ტრასას, პილოტები აგრძელებენ სვლას და მწვანე შუქის შემდეგ რბოლაც იწყება, ხოლო ოვალები გარე მხრიდან ბეტონის ბარიერითაა შემოსაზღვრული.

განმეორებითი სტარტის შემდეგ პოულის მფლობელმა პოლ ტრეისიმ (პენსკე-მერსედესი) პირველობა არავის დაანება და მანამდე ილიდერა, სანამ გადაცემათა კოლოფი არ გაუფუჭდა და რბოლას გამოეთიშა. შემდეგ ბრაზილიელი დე ფერანი დაწინაურდა. ამასობაში ინდიკარის ორი ექს-ჩემპიონი — მაიკლ ანდრეტი (ლოლა-ფორდი) და ელ ანსერ-უმცროსი (პენსკე-მერსედესი) ერთი და იმავე მიზეზით ეწვია ბოქსებს — მცირე შეჯახებებში ორივემ წინა სპოილერი დაკარგა. მექანიკოსები ერთნაირად ხანტად გაისარჯნენ — თითო წრით ჩამოარჩინეს პილოტები.

ერთ-ერთი რე-სტარტის დროს (ავარიის შემთხვევაში ყვითელ დროშებს გამოფენენ, რომელთა „გამწვანებამდე" გასწრება იკრძალება და სიჩქარესაც პეისკარი არეგულირებს) დე ფერანი ერთი წრით ჩამორჩენილებმა დააბრკოლეს, პირველობა ჯიმი ვასერმა (რეინარდ-ჰონდა) იგდო ხელთ და ბოლომდე შეინარჩუნა კიდეც. ბოლო წრეებზე ჩასათვლელი ქულებისთვის გამწვავდა ბრძოლა და რობი გორდონმა (რეინარდ-ფორდი) ზედ ფინიშის ხაზზე გამოსტაცა სკოტ პრუეტს (ლოლა-ჰონდა) მესამე ადგილი.

**ორი კვირის** შემდეგ გუნდები სამხრეთ ამერიკაში — ბრაზილიაში შეიკრიბნენ, სადაც რიო-დე-ჟანეიროში, ემერსონ ფიტიპალდის სახელობის ტრეკზე მეორე ეტაპი ჩატარდა. კვალიფიკაციისას კრისტიან ფიტიპალდიმ (ლოლა-ფორდი) და სკოტ გუდიარმა (რეინარდ-ფორდი) ახალი ტრეკის კედლების სიმაგრის შემოწმება მოინდომეს. ბრაზილიელი მანქანის ნამსხვრევებიდან უვნებელი ამოძვრა, რბოლაში სტარტი ბოლო რიგიდან აიღო და ფინიშზეც მეხუთე იყო. გუდიარს ექიმებმა ორი თვით აუკრძალეს რბოლაში მონაწილეობა.

სტარტი ყველაზე უკეთ პოულის მფლობელმა ზანარდიმ (რეინარდ-ჰონდა) აიღო და ისიც კარგა ხანს ლიდერობდა, ვიდრე მომსახურე პერსონალის ზოზინმა არ დაათმობინა პირველობა. შემდეგ კარგა ხანს ახალგაზრდა კანადელი გრეგ მური (რეინარდ-მერსედესი) პირველობდა, მაგრამ ფინიშამდე 17 წრით ადრე ძრავმა უმტყუნა. დაწინაურდა დე ფერანი, თუმც ვერც ამან იხეირა და საწვავის უკმარისობის გამო ბოქსებში შეიარა. საბოლოოდ გამარჯვება ბრაზილელ ანდრე რიბეიროს (ლოლა-ჰონდა) ერგო.

**მესამე ეტაპი** ქვინზლენდში (ავსტრალია), ბრისბენის სანაპიროზე, სერფერს-პარადაიზის ქუჩებში ჩატარდა, სადაც მონტე-კარლოსი არ იყოს, ძნელია გასწრება და დიდი მნიშვნელობა აქვს სასტარტო პოზიციას. ამით ისარგებლა პოულის მფლობელმა ჯიმი ვასერმა, სტარტი ყველაზე უკეთ აიღო, ბოლომდეც ლიდერობდა და დამატებითი ორი ქულაც მიითვალა.

მის ზურგს უკან დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა მოწინავე თორმეტეულში მოსახვედრად: ჯერ ანდრეტიმ და ტრეისიმ ვერ გაიყვეს ადგილი მოსახვევში და კანადელიც ბრძოლას გამოეთიშა, ხოლო ანდრეტი კარგა ხნით ესტუმრა ბოქსებს. შემდეგ ზანარდიმ მოინდომა ანსერთან საბრძოლველად უკეთესი პოზიციის შერჩევა, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში საბურავების ჯებირში გაიხლართა. საბოლოოდ ვასერს პოდიუმზე პრუეტმა და მურმა დაუმშვენეს გვერდი.

პირადი პირველობა (სამი ეტაპის შემდეგ): ვასერი (რჰ) 47 ქულა; პრუეტი (ლფ) 42; კ. ფიტიპალდი (ლფ) 28; ანსერი (პმ) და რიბეირო (ლჰ) 25; დე ფერანი (რ) 21; მური (რმ) 20; რაჰალი (რმ) 18; გორდონი (რფ) და ზანარდი (რჰ) 14; გუჟელმინი (რფ) 12; ...

ალეკო ჭაბუკიანი

## რალი

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე რალი — „საფარი", კენიაში რომ დასრულდა კვირას, მოიგო ფინელმა თომი მაკინენმა („მიცუბისი"), ვინაც 14 წუთზე მეტით აჯობა შვედ ქენეთ ერიქსონს („სუბარუ"). ორი რალის ჯამში მაკინენი მაქსიმუმით — 40 ქულით ლიდერობს.

## მოტოციკლი

კვირასვე, 500 კუბური სანტიმეტრის კლასში, მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპი — ინდონეზიის დიდი პრიზი, სენტულში რომ გათამაშდა, მოიგო წინა ორი წლის ჩემპიონმა, ავსტრალიელმა მიკი დუენმა („ჰონდა"). მას სამი წამით ჩამორჩა ბრაზილიელი ალეშანდრე ბარუში, ვინაც კიდეც ლიდერობს ჩემპიონატს.



ასტაფეის ნიჭი ძალიანაც დაფასდა

# მიდით, გაყიდეთ მთელი გუნდიო!

აღშფოთებულა რუმინეთის სპორტის მინისტრი ალექსანდრე მირონოვი. ქვეყნის ეოკ-ის პრეზიდენტი, ცნობილი ბადროს მტყორცნელი ქალი ლია მანოლიუ მორიგებია მავან გერმანულ ფირმას, რუმინეთის ოლიმპიურ გუნდს რომ უსპონსორებს, აღჭურვავს და ერთ მილიონსაც შეაწევს. სამაგიეროდ, მანოლიუს კანტორას გერმანიის სახელით ასპარეზობის ნება დაურთავს სიმაღლეზე მხტომელ ალინა ასტაფეის, მოკრივე ზოლტან ლუნკასა და ხელბურთელ ემილიუ ლუკასათვის. ამათგან ყველაზე სახელოვანი ასტაფეია, მაგრამ ლუნკას გაყიდვა რომ შეუტყვია, ისე სწყენია, რომ გადადგომა დაუპირებია რუმინელი მოკრივეების თავკაცს იონ შერბანს. რაც შეეხება ქალბატონ ლიას, მას მირონოვთან თავი უმართლებია, იმ ფირმასთან გარიგება არაფერ შუაშია — სპონსორობაზე შარშანვე შევთანხმდითო.

თენგიზ არტომონოვი

# მუსტერი თავის სტიქიაშია

ამ კვირაში ოთხი საჩოგბურთო ტურნირია.

**ეშტორილში** (პორტუგალია) თიხაზე ასპარეზობს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ავსტრიელი თომას მუსტერი, ვინაც ამგვარ საფარზე შარშან ერთბაშად 11 ტიტული მოიხვეჭა და იშვიათი „ტრიპლიც" გააზერხა — გაიმარჯვა მონტე-კარლოს, იტალიისა და საფრანგეთის პირველობებზე.

მუსტერმა პირველ წრეში 6:1, 7:5 დაამარცხა ჩეხი დავიდ რიკოლი. გავარდნენ მოწინავე განთესილები: ევგენი კაფელნიკოვს (რუსეთი, 2) 1:6, 6:3, 6:0 მოუგო ანდრეა გაუდენციმ (იტალია), ალბერტო კოსტას (ესპანეთი, 3) — 6:2, 6:2 ალექს კორეჩამ (ესპანეთი), გილბერტ შალერს (ავსტრია, 4) — 6:3, 5:7, 6:0 ხორდი ბურილიომ (ესპანეთი), ხოლო ალბერტო ბერესატეგის (ესპანეთი, 7) — სამ ხელში, ესპანელმავე თომას კარბონელმა.

**ამერიკელები** — პიტ სამპრასი და მაიქლ ჩანგი ჰონკონგში თამაშობენ. ტურნირის დაწყება ერთი დღით დააგვიანა წვიმამ. სამპრასმა პირველ წრეში სამ ხელში აჯობა სებასტიენ ლერუს (კანადა), ბოლო ორი წლის გამარჯვებულმა ჩანგმა კი 7:6, 6:1 დაამარცხა მარკუს ონდრუშკა (სამხრეთი აფრიკა).

**დევისის თასზე** სტუმრად ინდოეთის მძლეველი შვედეთის ნაკრები კალკუტიდან დელის ჩავიდა და მასპინძელი ქვეყნის ღია პირველობაში სრული შემადგენლობით ჩაება. პირველსავე წრეში მსოფლიოს 122-ე ჩოგანმა ნიკოლას კულტიმ 6:3, 6:4 სძლია მეწყვილე იონას ბიორკმანს (5), თომას ენკვისტმა კი 6:4, 6:4 დაამარცხა ბრიტანელი მარკ პეჩი. მასპინძელთა რჩეული ლიანდა პეისი გააგდო ზიმბაბველმა ბაირონ ბლექმა (3).

**ქალები** ემილია-აილენდში (ფლორიდა, აშშ) ეჯიბრებიან ერთმანეთს. იქ მეორე წრეში გავარდა ბულგარელი მაგდალენა მალეევა (3), ვისაც ავსტრიელმა ბარბარა შეტმა 6:1, 6:3 სძლია. იმავე სტადიაზე არანტა სანჩეს-ვიკარიომ (ესპანეთი, 2) ორ ხელში დაამარცხა ქრისტინა პაპადიკისი (საბერძნეთი), ამერიკელმა მერიჯო ფერნანდესმა (6) კი — ასევე ორ ხელში, სლოვაკი რადკა ზრუბაკოვა.



# უცხო რამ ხილები

**გოლფი** გუშინ ოგასთაში (ჯორჯია, აშშ) გაჩაღდებოდა წლის პირველი „მეიჯორი" (სულ ოთხია) — „იუ-ეს მასტერსი" (აშშ-ის საოსტატო შეჯიბრი), 1934 წლიდან რომ იმართება. მონაწილეები კლუბში ადრევე მოგროვდნენ და ორშაბათიდან ვარჯიშიც გააჩაღეს. ფავორიტად ავსტრალიელი გრეგ ნორმანი მიიჩნევა, ვისაც ოგასთაში ორჯერ სჭერია მეორე ადგილი. ამერიკელებს ფრედ ქაფლზისა და ცაცია ფილ ნიკოლსონის იმედი აქვთ, ევროპელებს — შოტლანდიელი ქოლინ მონთგომერისა. ჩემპიონის სარგო მწვანე პიჯაკი ამერიკელ ბენ ქრენშოს აცვია. „საოსტატოში" წელს 42-ედ (!) ითამაშებს 66 წლის ცოცხალი ლეგენდა არნოლდ პამერი, ვისაც შეჯიბრების კვირაძალს მდინარის პირას რვა რჩეულთაგან პირველს დაუდგეს ბრინჯაოს ბიუსტი. წელს ჯორჯიაში გაზაფხულმა დაიგვიანა, ამიტომ ჯერაც არ აყვავებულა იქაური აზალეა, ყველა სტუმარს ერთობ რომ უხარებს გულს.

**სქვოში** კარდიფში, ბრიტანეთის ღია პირველობაზე იშვიათ დუბლს უმიზნებდნენ ავსტრალიელები — და-ძმა მიშელ და ბრეთ მარტინები. მიშელმა (1) მართლაც მიაღწია მიზანს: ოთხ ხელში დაამარცხა თანამემამულე სარაჰ ფიტსჯერალდი და ჩემპიონობა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა, ხოლო ბრეთმა ასევე ავსტრალიელ აილსთან (2) ოთხ ხელში წააგო. ფინალში აილსი 13:15, 8:15, 10:15 დამარცხდა პაკისტანელ ჯანშირ ხანთან (1), ვინაც წელს მეექვსედ გაიმარჯვა. რაც შეეხება დამთხვეულ ავსტრალიელ ენთონი ჰილს (8), ვისაც ახლახანს დაუმთავრდა ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია, მან საწყის ეტაპზე ძლივს მოუგო კანადელ ჯონათან პაუერსს, თუმც თავისი ზნე ამ ერთხელაც გამოაჩინა — მსაჯსაც ბევრი ედავა და მეტოქესაც.

**კრიკეტი** სინგაპურში, „ზინგერის თასზე" შრი-ლანკამ, ინდოეთმა და პაკისტანმა ერთმანეთს თითო თამაში მოუგეს, გარბენთა უკეთესი ბალანსის წყალობით კი ფინალში შრი-ლანკა და პაკისტანი მოხვდნენ. პაკისტანმა 43 გარბენით გაიმარჯვა, ლანკელმა სანათ ჯაისურიამ კი თითოდღიანი კრიკეტის მორიგი რეკორდი დაამყარა: ნახევარი ასეული ანუ 50 გარბენის მიჯნა მე-17 ბურთით დაძლია. სინგაპურული ფინალი კვირას გაიმართა, გუშინ კი შარჯაში (საამიროები) უკვე „პეპსის თასი" უნდა გაჩაღებულიყო, რომელშიც ინდოეთი, პაკისტანი და სამხრეთი აფრიკა თამაშობენ, მაგრამ ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა და სტარტიც დღეისთვის გადმოიდო. საქმე ისაა, რომ ბრიტანეთში პლასტიკური ოპერაციის დროს მოკვდა 28 წლის შეიხი მუჰამედი, ვისაც მარტში ფეხბურთის მატჩის ცქერისას მაშხალა მოხვდა.

**პინგ-პონგი** წელს ამ სპორტშიც დიდი ფული დატრიალდა — შეიქმნა მსოფლიოს გრან-პრის ბალაგანი, ათ შეჯიბრად რომ იასპარეზებს და ჯილდოდ ნახევარ მილიონ დოლარს გაითამაშებს. პირველი ტურნირი წინა კვირაში დასრულდა ინგლისში, შემდეგი კი მაისში ჩინეთში გაიმართება.

**ბალახის ჰოკეი** პარასკევიდან კვირამდე, ჰამბურგში, ოთხი ქვეყნის შეჯიბრი 5 ქულით მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონამ გერმანიამ, ვინაც ბოლო ტურში 1:0 დაამარცხა ავსტრალია. ამანა და ესპანეთმა 3-3 ქულა მოაგროვეს, ინდოეთმა — 1. მერე იყო და გუშინ ატლანტაში ექვსი გუნდი უნდა ჩაბმულიყო ერთკვირიან წინაოლიმპიურ ტურნირში, მაგრამ მოედნები დაკავებული აღმოჩნდა (??!)

**ლიგის რაგბი** ევროპის საზაფხულო სუპერ-ლიგაში სამი თამაშიდან სამი მოგებით ლიდერობს „სენტ-ჰელენსი", ვინაც ამ ერთი კვირის წინ 41:26 დაამარცხა თვით უძლეველი „ვიგანი", ვისი თავმჯდომარე ჯექ რობინსონიც სატრანსფერო მაქინაციებზე ჩავარდნილა. „სენტ-ჰელენსს" ჰყოლია სულ მთლად ჭაბუკი გარემარბი დანი არნოლდი, ვინაც „ვორქინგთონ თაუნს" ოთხი ლელო გაუტანა, „ვიგანს" — სამი, „ლიდსს" კი — ორი.



ცაფლან ჯანდიერი

# მაქქოლი „პლანს" მისძალებია

ტაისონმა მარტში რომ ბრუნო გალახა, იმ ბრუნომ შარშან სექტემბერში სცემა და ტიტული ჩამოართვა ტაისონის ძველ სპარინგ-პარტნიორ ოლივერ მაქქოლს. წინა კვირის ბოლოს ესეც ჩავარდა: 30 წლის კაცს ავტომანქანაში უპოვეს აბგა, რომელშიც მარიხუანა ჰქონდა გადანახული. მაქქოლის სასამართლო მაისში გაიმართება.

# რაგბი

## ზე-12-ის პირველობა

8 აპრილი

ქენთერბერი 7:29 კანბერა

10 აპრილი

ოთაგო 33:32 ნატალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი (ზ) | 6 | 5 | 0 | 1 | 248:171 | 27 |
| ქვინზლენდი (ავ) | 6 | 5 | 0 | 1 | 188:164 | 23 |
| კანბერა (ავ) | 7 | 5 | 0 | 2 | 189:179 | 23 |
| ნატალი (აფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 239:187 | 21 |
| ოთაგო (ზ) | 7 | 4 | 0 | 3 | 244:243 | 21 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 6 | 4 | 0 | 2 | 199:139 | 20 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 6 | 3 | 0 | 3 | 157:130 | 16 |
| ვაიქათო (ზ) | 6 | 3 | 0 | 3 | 167:176 | 15 |
| ველინგთონი (ზ) | 6 | 2 | 0 | 4 | 184:177 | 13 |
| ქენთებრი (ზ) | 7 | 1 | 1 | 5 | 122:223 | 7 |
| ტრანსვაალი (აფ) | 5 | 1 | 0 | 4 | 77:129 | 5 |
| დას. კონცხი (აფ) | 7 | 0 | 1 | 6 | 158:254 | 3 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა. მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

**აფრიკის** ნატალი შესვენებაზე 24:13 უგებდა ოთაგოს, მერე მეტადაც დაწინაურდა (32:13), მაგრამ მასპინძლები მეტოქეს წამოეწივნენ 30:32, ბოლო წუთზე კი თანამსაჯმა მსაჯს ანიშნა, სტუმრებმა ოთაგოს შუამარბი უბურთოდ შებოჭესო. მსაჯმა დანიშნა საჯარიმო, რომელიც მასპინძელთა მცველმა მეთიუ ქუფერმა გაიტანა. ოთაგოს ხუთი საცხრილო ქულა ერგო, ნატალს — ორი.

**ინგლისის** რაგბის კავშირს ლამისაა აუჯანყდნენ ბობოლა კლუბები, მეტ წილსა და უფლებებს რომ ითხოვენ ახალი სეზონიდან, როცა გამრავალრიცხოვანებული ევროპის საკლუბო ლიგა და ინგლის — უელსის საზიარო ლიგა ამოქმედდებიან. ჯამაგირების დასარიგებლად კლუბების ასოციაცია თავად ეძებს სპონსორსა და თავადვე აპირებს სარფიანი სატელევიზიო კონტრაქტის გაფორმებას. ამას ვერ ურიგდება მოყვარულობის ყოფილი ბურჯი — რაგბის კავშირი, რომელიც აცხადებს, რაგბის მართვა ჩვენს ხელთ უნდა დარჩეს და ფულიც ჩვენვე უნდა გავუნაწილოთ ყველა დონის კლუბებს, რათა უპოვარნი არ დაიშალონ და არც რაგბის უნიკალური სულისკვეთება ჩაკვდესო. ხალხს ეჭვი აქვს, რომ ბობოლა კლუბები შეიძლება გამოეყონ კავშირს იმგვარადვე, როგორც 1895 განუდგნენ დანარჩენ სარაგბო თემს ჩრდილოეთი ინგლისის მუშური კლუბები, რასაც აწ უკვე ლიგის რაგბად ცნობილი თამაშის წარმოშობა მოყვა.

**ირლანდიის** რაგბის კავშირს ორი მილიონი გირვანქა გადაუდია 40 უკეთეს მოთამაშესთან კონტრაქტის დასადებად. ამათ ირლანდიურ კლუბებში დარჩენა დაევალებათ და სეზონში თითო 30 000 გირვანქას მიითვლის. ნაკრების წევრთა ჯამაგირი 40 ათასია.

**გაზეთ** „ბელდის" ცნობით, სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირს ბობოლა მოთამაშეებისთვის გაუფორმებია 640 ათას-დოლარიანი სამწლიანი კონტრაქტები. ამაზე კავშირის პრეს-ატაშე კრისტო ფერერას უთქვამს, ჭორებს ნუ აყვებით, ამგვარი ინფორმაცია საიდუმლოაო.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29